აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№47 (25.071) შაბათი, 6 - 8 მაისი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 19-24, შიდამთიან რაიონებში - 16-21 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 14 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 763 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია წვიმა ელჭექით.

კრიალოსა N იუსი

დავიწყეთ „პოლიციის ქალაქის“ მშენებლობა, რომელიც გათვლილი იქნება 1000-ზე მეტ პოლიციელზე, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, რომელმაც საბურთალოს რაიონში „პოლიციის ქალაქის“ მშენებლობის საძირკველში სიმბოლური კაფსულა ჩადო. პროექტის ღირებულება დაახლოებით 125 მლნ ლარია, საიდანაც პოლიციელები გადაიხდიან სიმბოლურ ფასს, 300 ლარს კვადრატულ მეტრში, ხოლო დანარჩენს - სახელმწიფო. 6 ჰა ტერიტორიაზე 12 და 13-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსები აშენდება, მოეწყობა გასართობი და სპორტული სივრცეები.

* * *

სალომე ზურაბიშვილი სამუშაო ვიზიტით დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს ეწვია. პრეზიდენტი ლონდონში მეფე ჩარლზ III-ის კორონაციის ცერემონიას დაესწრება, ასევე, მიღებას, რომელიც ბუკინგემის სასახლეში გაერთიანებული სამეფოს მეფე ჩარლზ III-ისა და დედოფალ კონსორტის სახელით ცერემონიაზე მიწვეული უცხო ქვეყნის ლიდერების პატივსაცემად გაიმართება.

* * *

ძირითადი საკითხები, რომლებიც ჩვენ და ჩვენს საზოგადოებას აღელვებს, პრემიერის გამოსვლაში სრულად იყო ასახული, - ასე შეაფასა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ სამხარაძემ ბუდაპეშტში კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების ყოველწლიურ კონფერენციაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის გამოსვლა. „საუბარი იყო ოკუპაციაზე, რუსულ სამხედრო აგრესიაზე, რომელიც უკრაინაში მიმდინარეობს და ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს მომავალ წევრობაზე“, - აღნიშნა მან.

* * *

ენმ მზადაა გააკეთოს ყველაფერი, რომ საქართველოში გაძლიერდეს პატარა პროდასავლური პარტიები და სამოქალაქო ჯგუფები, რათა ერთობლივი ძალებით შევძლოთ „ქართული ოცნების“ დამარცხება, - განაცხადა ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა სულხან სიბაშვილმა, რითაც საარჩევნო ბარიერის საკითხს გამოეხმაურა. გასული წლის ივლისში „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მმართველი პარტია მზადაა 2024 წლისა და ყველა მომდევნო საპარლამენტო არჩევნებისთვის ბარიერი 5%-დან 2%-მდე დასწიოს, თუ ქვეყანა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს მიიღებს. უმრავლესობის წევრთა განცხადებით, ახლა არანაირი ვალდებულება არ არის, დანარჩენი კი მომავლის საქმეა.

მოამზადა
ია შველიძემ

ზურაბ გორგილაძეს გუშინ 86 წელი შეუსრულდებოდა...

გუშინ გენიალური ქართველი პოეტის, აჭარისა და სრულიად საქართველოს საამაყო შვილის, ზურაბ გორგილაძის დაბადების დღე, 5 მაისი, მგოსნის ოჯახის წევრებთან ერთად, ტრადიციულად აღნიშნეს მის საფლავთან შეკრებილმა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის, ხელისუფლებისა და საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენლებმა, რომელთა შორის იყვნენ აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელი თამარ გუდავა და სხვები

სასიქადულო მგოსანს, რომელიც 2006 წელს 68 წლის ასაკში აღესრულა, გუშინ 86 წელი შეუსრულდებოდა.

„ზურაბ გორგილაძის გამორჩეული პოეზია ეროვნული საგანძურია. სიტყვაკაზმული ლექსები, რომელიც ძირძველი ქართული დიალექტითაა გამთბარი, დღესაც აღაფრთოვანებს პოეზიის მოყვარულებს და თაობებს გადაეცემა“, - აღნიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ.

მკითხველს შევახსენებთ, რომ პოეტის სიცოცხლეში გამოიცა მისი ლექსების 16 კრებული. ზურაბ გორგილაძის პოეზიის ნიმუშები ზეპირად იცის აჭარის მოსახლეობამ, რადგან ისინი მშობლიური კუთხის, სამშობლოს, ადამიანის სიყვარულითაა გაჟღენთილი და ცოცხალი პოეტური სახეებითაა სავსე, რომელთა დავიწყება შეუძლებელია. ზურაბ გორგილაძე იყო საქართველოს მწერალთა კავშირისა და მემედ აბაშიძის პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი.

უფრო ფართოდ პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიების შესახებ გაზეთის შემდეგ ნომერში ვისაუბრებთ.

ეკონომიკური ფორუმის ბათუმში გამართვა გადაწყვიტეს

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე არაბთა გაერთიანებული საამიროების სავაჭრო-სამრეწველო პალატების ფედერაციის გენერალურ მდივან ჰუმეიდ ბენ სალემს და სარჯას სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე სულთან ალ ოვეის შეხვდა. ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის მთავრობის პრესსამსახური ავრცელებს

საუბარი შეეხო ორ ქვეყანას შორის ბოლო წლებში სავაჭრო-ეკონომიკური, ტურისტული ურთიერთობების გააქტიურებას.

მიიღეს გადაწყვეტილება ერთობლივი პროექტების განხორციელებასა და ეკონომიკური ფორუმის ბათუმში გამართვასთან დაკავშირებით.

შეხვედრას საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი არაბთა გაერთიანებულ საამიროებში პაატა კალანდაძე ესწრებოდა.

მშობლის როლი - ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებაში

3

«ბუნება, სადაც ეტლით შემიძლია გავიდე, ჩემთვის სამოთხეა და სიმშვიდეს მგვრის»

4

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2024 წლის პრიორიტეტების საჯარო განხილვა დაიწყო

ნაილე ხერთვისელი 27 48 93

სამინისტრომ მომდევნო წლის პროგრამების პროექტები და სიახლეები, სამედიცინო დაწესებულებების, სერვისების განმახორციელებელი ორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს გააცნო

გეგმის თანახმად, 2024 წელს აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ნაერთი ბიუჯეტი მიმდინარე წლის ბიუჯეტთან შედარებით, 5 მილიონამდე ლარით გაიზრდება და 38 160 000 ლარს შეადგენს. ჯამში, სამინისტრო საქვეუწყებო დაწესებულებებთან ერთად, 33 პროგრამას განახორციელებს.

„მოსახლეობის, სამედიცინო საზოგადოებისა და სამოქალაქო სექტორის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით დავგეგმეთ მნიშვნელოვანი ცვლილებები. დაახლოებით, 16 მილიონი ლარი გამოიყოფა ჯანდაცვის პროგრამების განსახორციელებლად, 14 მილიონი ლარით დაფინანსდება სოციალური მიმართულების პროგრამები. დაგეგმილია, სამინისტროს პროგრამების ფარგლებში, სხვადასხვა დაავადების მკურნალობისთვის გათვალისწინებული ძვირად ღირებული მედიკამენტების ღირებულების სრულად დაფარვა, მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევების დაფინანსების ზრდა და, ასევე, მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული სხვა არაერთი მნიშვნელოვანი სიახლის დანერგვა“, - აღნიშნა მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ.

სიახლე შეეხება, აგრეთვე, გადაუდებელი ქირურგიის დაფინანსების წესს. სამინისტრო პაციენტებს, რომლებიც საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიიღებენ გადაუდებელ ქირურგიულ სამედიცინო მომსახურებას, DRG მეთოდით განსაზღვრული საბაზისო ღირებულების ფარგლებში, თანაგადახდას დაუფინანსებს სრულად.

სოციალური დაცვის მიმართულებით დაგეგმილია როგორც ბენეფიციართა რაოდენობის, ასევე პროგრამების ბიუჯეტის ზრდა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა სხვა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, იგეგმება ინოვაციური დამხმარე ტექნოლოგიების, ასევე საკორექციო საშუალებების - ორთეზების დაფინანსება.

გაორმაგდება 2008 წლის რუსული აგრესიის შედეგად დაღუპულთა, დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მეომართა და 2012 წელს ავღანეთში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება. ცვლილება შედის ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამაშიც.

გაზიფიცირება გრძელდება

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

აჭარის მთიანეთის მუნიციპალიტეტებში ბუნებრივი აირის ძირითადი მაგისტრალი უკვე გაყვანილია. იგი ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზას მიჰყვება. 59-ე კილომეტრიდან 70-ე კილომეტრამდე საავტომობილო გზის სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს, რაც გარკვეულწილად, ადრე გაყვანილ გაზის მაგისტრალს პრობლემებს უქმნის.



რიგ მონაკვეთებზე მაღალი წნევის მილები ჩაიჭრა, ხოლო სოფელ ჩანჩხალოს კლდეებში მიმდინარე სამუშაოების დროს გაზგაყვანილობის მილები თითქმის ერთ კილომეტრზე აყარეს. კომპანია «გზების» ხელმძღვანელობა გზის სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ გაზის გაყვანილობასაც მოაწესრიგებს. ეს პრობლემა ხელს არ უშლის დაბა ქედის, შუახევისა და ხულოს ცენტრებში, ასევე მიმდინარე სოფლებში დაქსელვითი სამუშაოების წარმოებას, რასაც შპს «ჯიაისი» ასრულებს.

როგორც კომპანიის წარმომადგენელმა თეიმურაზ რობაქიძემ გვითხრა, წელს სამივე მუნიციპალიტეტის ცენტრებსა და მიმდებარე სოფლებში დაქსელვის სამუშაოები 75 კილომეტრზე შესრულდება. აქედან თითქმის ერთი მეხუთედი - შუახევის ტერიტორიაზე. სამუშაოები გორხანაულის უბნიდან დაიწყეს.

გაზიფიცირება სოფლის მოსახლეობისთვის დიდი სარგებელი იქნება. ქვეყნის რეგიონებსა და სოფლებში დაქსელვა ლითონის მილებით და ღიად მიმდინარეობდა. აჭარის მთიანეთში მაღალი წნევის პოლიეთილენის მილებს სპეციალურად გაჭრილ თხრილებში აწყობენ. სამუშაოებზე 10 ადგილობრივია დასაქმებული.

მიმდინარე სამუშაოებს შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, მისი მოადგილეები გიორგი დავითაძე და გიორგი კეკელიძე გაეცნენ.

- მომავალი წლის დასაწყისიდან, ანუ მას შემდეგ, რაც 13,5 კილომეტრზე დაქსელვითი სამუშაოები დასრულდება, დაბა შუახევის დასახლებული უბნების - გორხანაულის, კოლოშნარისა და სხეფელას მოსახლეობა ბუნებრივი გაზით ისარგებლებს.

„იდეადრომი“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

კომუნიკაციების კომისიის მედიალაბში სტარტაპის იდეების კონკურსი „იდეადრომი“ ტარდება. კონკურსის ფარგლებში, მონაწილე გუნდები ორგანიზაციულ მართვასა და კონფლიქტების მოგვარებაში გადამზადდნენ. შერჩეული 5 საუკეთესო სტარტაპ იდეის მქონე გუნდი მენტორებთან ერთად, ერთი კვირის განმავლობაში სტარტაპის განვითარებისთვის საჭირო თემებს სწავლობს. გადამზადების შემდეგ გამოვლინდებიან გამარჯვებულები, რომელთა საპრიზო ფონდი 10 000 ლარს შეადგენს.

- მედიალაბში უკვე მეექვსედ მიმდინარეობს „იდეადრომი“, სადაც გუნდები სემინარებს და სესიებს სხვადახვა საკითხში ესწრებიან. ესენია: ფინანსები, იურიდიული საკითხები, იდეის ვალიდაცია, პროტოტიპირება, პროდუქტის განვითარება... შეიძლება უკვე თამამად ითქვას, რომ საკმაოდ ბევრი წარმატებული სტარტაპია, რომლებმაც „იდეადრომი“ გაიარა, - აღნიშნა მედიალაბის ხელმძღვანელმა რუსუდან ჩაჩანიძემ.

- ლიდერებმა, რომლებიც ამ სტარტაპებს სათავეში უდგანან, მნიშვნელოვანია იცოდნენ, კარგად გაიაზრონ, რა გამოწვევების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს მათი გუნდი. როგორც საწყის ეტაპზე, ასევე, შემდეგ - პროცესში. ვასწავლით, თუ როგორ შეიძლება ამ გამოწვევებთან მუშაობა ისე, რომ გუნდმა მაქსიმალური ეფექტის მიღება შეძლოს, - გვითხრა პროექტის მენტორმა გვანცა ბარაბაძემ.

- „იდეადრომი“ არის საუკეთესო შანსი ჩვენნაირი ადამიანებისთვის, იმათთვის, ვისაც აქვთ იდეები, ან სტარტაპები, ვისთვისაც მნიშვნელოვანია, რომ ამ მხრივ განვითარდნენ. გარშემო ისეთი ადამიანები გვყავს, რომლებთან ერთადაც ამ ყველაფერს ვსწავლობთ. ასევე, გვყავს არაჩვეულებრივი ტრენერები და მენტორები, რომლებიც ნაბიჯ-ნაბიჯ მოგვყვებიან და ყველანაირად გვეხმარებიან, - აღნიშნა „იდეადრომის“ მონაწილე ავთო თავდიშვილმა.

პირველად - სკოლის ისტორიაში

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრები, პოეტი გულიკო გაბაიძე, მწერალი ვახტანგ გოგრაჭაძე, ჟურნალისტი და პუბლიცისტი ოთარ ცინარიძე, ლექსების ერთი კრებულის ავტორი (მეორე წიგნს გამოსაცემად ამზადებს) მზია თავართქილაძე ამ დღეებში ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხანჯურის საჯარო სკოლას სტუმრობდნენ

- უახლოეს პერიოდში ლექსების ახალი კრებული გამოსცა გულიკო გაბაიძემ. ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობას რომანი შემატა ვახტანგ გოგრაჭაძემ. მეექვსე წიგნს «მტკბარად განვლილი ცხოვრება» გამოსაცემად ამზადებს ოთარ ცინარიძე. იგი ამავდროულად გაზეთ «აჭარის» კორესპონდენტია აჭარის მთიანეთის სამ მუნიციპალიტეტში. 25-მდე წიგნისა და გაზეთ «შუახევის» რედაქტორია, - ასე წარუდგინა პედაგოგებსა და მოსწავლეებს ისინი ჯიხანჯურის საჯარო სკოლის დირექტორმა მიხეილ ხალვაშმა.

სტუმრები მოსწავლეებს თავიანთი შემოქმედების, პროფესიული და საზოგადოებრივი საქმიანობის ცალკეულ ეპიზოდებზე ესაუბრნენ. წაიკითხეს ლექსები, ამონარიდები ცალკეული ნაწარმოებებიდან.

ჯიხანჯურის საჯარო სკოლა ერთი წარმატებული საგანმანათლებლო კერაა ქობულეთის მუნიციპალიტეტში. იგი 1987 წლიდან მოქმედებს და 36 წელია სკოლას უცვლელად ხელმძღვანელობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული მიხეილ ხალვაში. სკოლის კედლებში დროის ამ მონაკვეთში მრავალი ღირსეული ადამიანი აღიზარდა. ისინი სიტყვას ამბობენ მეცნიერებაში, შემოქმედებით სარბიელზე, სპორტში, კულტურასა და ხელოვნებაში. ახლა სკოლაში 20-ზე მეტი პედაგოგი მუშაობს, რომელთაგან 18 სერტიფიცირებულია. ორი მათგანი უფროსი მასწავლებელია. სკოლაში 300-ზე მეტი მოსწავლეა. ერთმანეთის გვერდით, ამ ქართულ სკოლაში სწავლობენ სომეხი, რუსი და ბერძენი ეროვნების ბავშვები.

სტუმრების შემდეგ სცენა მოსწავლეებს დაეთმოთ. მათ ლექსები წაიკითხეს და საკუთარი შემოქმედებაც გამოამზეურეს.

- ჯიხანჯურის საშუალო (საჯარო) სკოლის გახსნამდე ზედა ლეღვას სკოლის დირექტორი ვიყავი, - თქვა მიხეილ ხალვაშმა, - 38-წლიანი სტაჟი მაქვს სკოლის ხელმძღვანელად მუშაობის. მალე დაბადებიდან 70 წლის იუბილესაც ვიზეიმებ. უკვე ორი წიგნის ავტორი ვარ. მათ გამოცემაში დიდი თანადგომა გამიწია ქობულეთის რესურსცენტრის უფროსმა მადონა გოგიტიძემ. პედაგოგს, პოეტს, სკოლის ხელმძღვანელს მსურდა, რომ სკოლას შემოქმედებითი ადამიანები სწვეოდნენ. მართლაც საინტერესო და შინაარსიანი დღე იყო.

გულიკო გაბაიძე: - მე და მიხეილი ისტორიული სოფელ ხიხაძირის მკვიდრები ვართ. ორივემ იმ სკოლაში მივიღეთ საშუალო განათლება, რომელიც წელს ქართულ საგანმანათლებლო კერად აღდგენიდან 100 წლის იუბილეს აღნიშნავს. ასაკით თითქმის თანატოლებს ნათესაური ურთიერთობაც გვაკავშირებს ერთმანეთთან. შემოქმედებით სარბიელზე მიღწეულ წარმატებებსაც ვულოცავთ. განარებული ვტოვებ ჯიხანჯურს, თვალებაცქრიალა გოგო-ბიჭებს, შეხვედრით კმაყოფილ პედაგოგებსა და სკოლის პერსონალს.

მზია თავართქილაძე: - ქობულეთში დაბადებულმა, საშუალო სკოლა ხულოში დავამთავრე. სკოლის კედლებს რამდენიმე წლის წინ გამოვემშვიდობე. მოსწავლეების, მათი აღმზრდელების წინაშე საკუთარი ლექსების წაკითხვის პატივი პირველად მერგო, თანაც იმ სკოლაში, სადაც პოეტები და მწერლები პირველად ვიყავით. თბილი და სასიამოვნო შეხვედრა იყო, ახლა გული სხვა სკოლისკენ მიმიწევს.

ვახტანგ გოგრაჭაძე: - კულტურის სფეროსთან სამსახურებრივი კავშირი მაქვს. სკოლა, მოსწავლე, პედაგოგი ჩემთვის ყოველდღიური ურთიერთობის ასპარეზია. ისინი ჩემ შემოქმედებასაც კარგად იცნობენ, თუმცა დამოკიდებულება, რომელიც ჯიხანჯურში ვნახე, განსაკუთრებულია. შეხვედრის დაწყებისთანავე ჩვენსა და მოსწავლეებს შორის თბილი ურთიერთობები ჩამოყალიბდა. ეს სკოლა ნათელი მაგალითია იმ ინტერნაციონალური ურთიერთობებისა, ქართველებს ასე რომ გვეამაყება. სკოლის წარჩინებულ მოსწავლეებს შორის პირველად სომეხი და რუსი ეროვნების ბავშვები დაგვისახელეს. ესეც იმ დამოკიდებულების გამოძახილია, რასაც სკოლაში მომუშავე პედაგოგები სხვა ეროვნების წარმომადგენელთა შვილებისადმი იჩენენ. ჯიხანჯურში გამართული შეხვედრის შთაბეჭდილებებმა სურვილი გაგვიჩინა მომავალშიც ვეწვიოთ ამ სკოლას და ბავშვებს, მათ აღმზრდელებს ქართული სიტყვის მადლი გავუზიაროთ.

შოთა ქათამაძე, ჯიხანჯურის საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე: - ჩემი მშობლები აჭარის მთიანეთის შორეულ სოფელ ნაღვარევის მკვიდრები არიან. წინა საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში მუდმივ საცხოვრებლად ჯიხანჯური აირჩიეს. ახლა ეს სოფელი 200 კომლზე მეტს ითვლის. ჩვენთან გავერანებული, ჭინჭრითა და ეკალ-ბარდით დაკავებული ეზო იშვიათობაა. აჭარის მთიანეთიდან გადმოსულებთან ერთად, სომხები და რუსებიც ცხოვრობენ. მათთან გასაყოფი არ გვაქვს. ეს მეზობლობაში, მეგობრობაში, სუფრასთან და, რაც მთავარია, ყველაზე მეტად სკოლაში იგრძნობა.

მშობლის როლი – ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებაში

დარინა ბაბაიძე 514 22 22 80

მშობლობა ბედნიერებაა, თუმცა მას დიდი პასუხისმგებლობა ახლავს. ბავშვის აღზრდა რთული პროცესია, რომელიც მოითხოვს მშობლების მხრიდან უპირობო სიყვარულს, სიმშვიდეს, გაწონასწორებულობას, მზრუნველობასა და ფსიქოლოგიის საბაზისო ცოდნას, რათა მოხდეს ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბება და განვითარება.

დღეს ამ თემაზე გვესაუბრება ***ნინო ბაჯელიძე*** *- ბავშვთა ფსიქოლოგი, რომელიც მუშაობს ბავშვთა განვითარების ცენტრში, ძირითადად სხვადასხვა დიაგნოზის მქონე ბენეფიციარებთან. „მუშაობის პროცესში გავაცნობიერე, რომ სწრაფი შედეგის მისაღწევად არანაკლებ საჭიროა მშობელთა გაძლიერება და მათთვის იმ გზების ჩვენება, რომლითაც სწორი კომუნიკაცია ექნებათ შვილებთან. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, შევიცვალო მიმართულება და გავხდე მშობელთა ფსიქოლოგი. ეს არის ახალი სერვისი, რომელსაც ვთავაზობ მშობლებს და მათ შეუძლიათ ამ სერვისით სარგებლობა“, - ასე დაიწყო მან ჩვენთან საუბარი.*

- როდის იწყება მშობლისა და შვილის ურთიერთობა?

- მშობლის და შვილის ურთიერთობა ჯერ კიდევ იმ წამიდან იწყება, როდესაც მშობელი იგებს, რომ მალე მას პატარა ეყოლება. კვლევების თანახმად, ხშირად ამ დროს განცდილი ემოციები განსაზღვრავს შემდგომში ბავშვის ხასიათს. ამის შემდგომ, უმეტესად, მშობლებს აქვთ სრული 9 თვე ბავშვის გასაცნობად, იქამდე, სანამ ის მოევლინება ქვეყანას. სწორედ მუცლადყოფნის პერიოდიდან იწყება ის ტკბილ-მწარე მოგზაურობა, რომელსაც მშობლები შვილთან ერთად გადიან. მთელი 9 თვე დედა და შვილი ცხოვრობენ ერთ ორგანიზმად.

- დედის ემოციურ ფონს რა გავლენის მოხდენა შეუძლია ნაყოფის განვითარებაზე?

- დედის ემოციური ფონი ორსულობისას დიდ გავლენას ახდენს ჩანასახის განვითარებაზე, აგრეთვე, განსაზღვრავს დედის მშობიარობის შემდგომ განწყობასაც. ამ პერიოდში დედასთან ერთად განსაკუთრებული როლი ენიჭება მამასაც და იმას, თუ როგორ ემოციურ განწყობას შეუქმნის ის ბავშვის დედას. თუ მამა მოძალადეა, ეს თავისთავად დააზიანებს ემბრიონის და დედის როგორც ფიზიკურ, ასევე, ემოციურ მდგომარეობას, რომელიც გაგრძელდება მშობიარობის შემდეგ პერიოდშიც და დიდი შანსია იმისა, რომ ბავშვი აგრესიულ ადამიანად ჩამოაყალიბოს. მაგრამ, თუ მამა მხარდამჭერია და კარგ ემოციურ ფონს უქმნის დედას, ეს შეიძლება გახდეს ყველაზე კარგი საშუალება ორსულობის შემდგომი დეპრესიის დასამარცხებლად. გარდა ემოციური ფონისა, არსებობს უამრავი ტერატოგენი, რომელიც ხელს უშლის ნაყოფის განვითარებას. კვლევებმა აჩვენა, რომ მხოლოდ შფოთვას ორსულ ქალბატონებში შეუძლია გამოიწვიოს ნაყოფის სხეულის მასის შემცირება, სხეულის მცირე მასა კი შეიძლება უკავშირდებოდეს ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტიურობის სინდრომის ჩამოყალიბებას ბავშვებში. როგორც ხედავთ, მშობელი საკმაოდ რთულ გზას გადის ბავშვის გაჩენამდე, მაგრამ ეს მხოლოდ დაუსრულებელი კიბის პირველი საფეხურია.

- რამდენად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ჩვილობის პერიოდს ბავშვის ცხოვრებაში?

- ჩვილობა მოიცავს დაბადებიდან 2 წლამდე პერიოდს, როდესაც განსაკუთრებული სიფრთხილე და ყურადღება მართებს მშობელს, ვინაიდან ამ პერიოდის განვითარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება და მას შეუძლია სერიოზული ზეგავლენა იქონიოს ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში.

- რა უნდა იცოდეს ახალბედა მშობელმა კოგნიტურ განვითარებაზე?

- მესამე თვისთვის ჩვილს უნდა შეეძლოს 7-8 წამის განმავლობაში შეაჩეროს მხედველობა საგანზე, თვალს აყოლებდეს მოძრავ ობიექტს. 4 თვის ბავშვი არა მხოლოდ ხედავს, არამედ უყურებს, ის აქტიურად რეაგირებს მხედველობის ველში მოხვედრილ ობიექტზე, იწყებს მოძრაობას და გამოსცემს ბგერებს. ბავშვს შეუძლია საგნის ფორმის აღქმა, ხედავს კონტურებს და სხვა ელემენტებს. ერთ-ერთ ექსპერიმენტში ბავშვს აჩვენებდნენ თეთრ ფონზე გამოსახულ სქელ, შავ ხაზს. ბავშვის მზერა მიმართული იყო შავი ხაზისა და თეთრი ფონის საზღვარზე. მეორე ექსპერიმენტში ჩვილს ერთდროულად აჩვენებდნენ 2 ფურცელს: თეთრს და შავი ვერტიკალური ხაზებით. აღმოჩნდა, რომ ჩვილი მეტ ხანს უყურებდა ხაზებიან ფურცელს. ასევე, 2-3 თვის ბავშვი ინტერესს ავლენს იმ ობიექტების მიმართ, რომელიც ნაწილობრივ განსხვავდება მისთვის ცნობილი ობიექტებისაგან.

- რომელი თვიდან რეაგირებს ფერებზე?

- 3-4 თვის ბავშვი უკვე რეაგირებს ფერზე. თუ მას საკვებს მივაწოდებთ წითელი ფერის ბოთლით, ის შეუცდომლად ამოიცნობს მას სხვა ფერის ბოთლებს შორის. აქტიური დამოკიდებულება ფერის მიმართ ჩნდება 6 თვის ასაკისთვის. დღეისთვის ითვლება, რომ ჩვილს აქვს სამყაროს მთლიანი ხატი და არა ფერადი ლაქების, ხაზების და ელემენტების მოზაიკური ნაკრები. ბავშვი აღიქვამს არა ობიექტის ცალკეულ მახასიათებლებს, არამედ მთლიანად ობიექტს. ის ქმნის ობიექტის ზოგად ხატებს.

- ჩვილები უპირატესობას ანიჭებენ ახალ საგნებს, ეს რისი მანიშნებელი შეიძლება იყოს?

- 4 თვის ბავშვი უპირატესობას ანიჭებს ახალი საგნების ყურებას, ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ მათ ახსოვთ უკვე ნანახი საგნები. 1 წლის ბავშვი ცნობს ნაცნობ ადამიანებს, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე კვირა არ უნახავს და იხსენებს (ხანგრძლივი მეხსიერება) 1 კვირის წინანდელ ამბებს. 2 წლის ასაკში ახსოვთ 3 თვის წინანდელი ამბები.

- რამდენად მნიშვნელოვანია მშობლის როლი მეტყველების ჩამოყალიბებაში?

- როდესაც ბავშვი წარმოთქვამს ბგერებს, მშობლები განამტკიცებენ მათ ღიმილით, ჩახუტებითა და თბილი საუბრით. ზოგი ბიჰევიორისტის აზრით, ბავშვები იმიტაციით ცდილობენ წარმოთქვან რთული სიტყვები და დასრულებული წინადადებები. იმიტაცია შეიძლება შეუთავსდეს განმტკიცებას. მაგალითად, როცა მშობელი ბავშვს სთხოვს, თქვი: „ნამცხვარი მინდა“, მშობელი უღიმის და ეფერება მას, როცა ბავშვი ამბობს: „ნამცხვარი მინდა“. ე.ი. ბიჰევიორისტების აზრით, ბავშვი მეტყველებას ითვისებს როგორც მიბაძვით, ასევე განმტკიცებით. მეტყველების ჩამოყალიბების პროცესში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უნარი, რომელიც ბავშვმა შეიძლება განავითაროს, არის „თანამშრომლობის უნარი“. ეს გულისხმობს გარკვეული ფუნქციების გადანაწილებას მშობელსა და შვილს შორის. თუ ეს უნარი არ აქვს ბავშვს განვითარებული, ამ შემთხვევაში ვაწყდებით ისეთ პრობლემას, როგორიცაა ჭირვეულობა.

- ანუ, ჭირვეულობა შეიძლება იყოს მეტყველების დაგვიანების მიზეზი?

- კი, ჭირვეულობა ხშირ შემთხვევაში ერთ-ერთი ფაქტორია, რის გამოც შეიძლება ბავშვმა მეტყველება დაიგვიანოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ასეთ შემთხვევაში, მშობელს „ჯინის“ როლი აქვს მორგებული და მას ყველა სურვილს უსრულებს. ბავშვი კი ველარ ხედავს იმის საჭიროებას, რომ რაიმე მოითხოვოს სიტყვიერად. მშობლის და შვილის ამგვარ დამოკიდებულებას შესაძლოა, ორგვარი ეფექტი ჰქონდეს: პირველი, თანატოლების მხრიდან გახდეს ბავშვის გარიყვა იმ მიზეზით, რომ მასთან კომუნიკაციას ვერ ამყარებენ, და მეორე, იგივე თანატოლებთან კომუნიკაციის სურვილმა შესაძლოა, ბავშვში სწორი მეტყველება განავითაროს, რადგან თავისი თანატოლი ვერ წავა იმ დათმობებზე, რომელზეც მიდის მშობელი, მაშინ როცა ბავშვი ჭირვეულობს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საჭიროებას მოაქვს მეტყველება.

- როგორია ბავშვთა აზროვნების განვითარება და მშობლის როლი ამ პროცესში?

- ერთ-ერთი მთავარი ასპექტი პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში არის აზროვნება, რომლის განვითარებაში მშობლის როლი ძალიან დიდია. ფილოსოფოს ჯონ ლოკის აზრით, „ბავშვი არის სუფთა დაფა“, რომელზეც მშობელს ის შეუძლია დაწეროს, რაც უნდა. ანუ ბავშვი მთლიანად მშობლის აზროვნების შედეგია. გარკვეულწილად, ეს ასეც არის, რადგან ის, თუ როგორ აღიქვამს ბავშვი სამყაროს, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აღიქვამს ამავე სამყაროს მშობელი. მაგალითად, მშობელს ტრავმირებული ბავშვობა ჰქონდა და იყო მოძალადე მშობლის მსხვერპლი, ძალიან დიდი შანსია, რომ მან ცხოვრებისეული თანამგზავრი შეარჩიოს მშობლის პროტოტიპის მიხედვით, ანუ, მოხდეს ტრავმების გადატანა მშობლიდან შვილზე, რადგან მშობელი არის შვილისთვის ავტორიტეტი და ქვეცნობიერად შვილი ახდენს იმ ქცევების ნორმალიზებას, რასაც მშობელი აკეთებდა. ამდენად, სასურველია, ფეხმძიმობის პერიოდიდანვე მშობლებმა ისარგებლონ ფსიქოლოგის მომსახურებით, რათა თავიდან აიცილონ ტრავმები.

- რამდენად მნიშვნელოვანია აღზრდის სტილი პიროვნების ფორმირების პროცესში?

- აღზრდის სტილის კვლევა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო. კურტ ლევინი ერთმანეთისგან განასხვავებს აღზრდის სამ სტილს: ავტორიტარულს, დემოკრატიულსა და ლიბერალურს. ურთიერთობის ავტორიტარული სტილი გამოირჩევა მაღალი კონტროლით, მცირე რესპონსიულობითა და მკაცრი წესებით, რომლებიც შეუვალია. იგი ბავშვისგან მოითხოვს უსიტყვო მორჩილებას. ბავშვს აქ პასიური პოზიცია უკავია. აღმზრდელი ცდილობს აღსაზრდელით მანიპულირებას, არ ასწავლის მას საკუთარი ქცევის მართვას, ახორციელებს ფსიქოლოგიურ ზეწოლას მასზე. ამ დროს აღსაზრდელის შესაძლებლობები, პირადი ინიციატივა და შეხედულებები უგულებელყოფილია. ურთიერთობის დემოკრატიული სტილი წარმოადგენს აღსაზრდელზე ცენტრირებულ აღზრდის სტილს, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის აქტიურ პოზიციას.

- რას გულისხმობთ ბავშვის აქტიურ პოზიციაში?

- ბავშვი, ამ შემთხვევაში აღსაზრდელი, მიიჩნევა პარტნიორად, ზრდასთან ერთად მან უფრო და უფრო დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობის შეგნებით უნდა იმოქმედოს. მშობელი, ანუ აღმზრდელი ქმნის ნდობისა და ურთიერთგაგების პირობებს, უყალიბებს აღსაზრდელს „ჩვენ“ დამოკიდებულებას - ერთობლივი ქმედების სურვილს, ასწავლის საკუთარი ქცევის მართვას, დისციპლინა ხდება თვითრეგულირებადი, თვითმართვადი. მაშასადამე, ამ დროს სუფევს ღია კომუნიკაცია, სადაც ბავშვის თვალსაზრისი მოსმენილი და გათვალისწინებულია.

- მაშინ როგორია ურთიერთობის ლიბერალური სტილი?

- ლიბერალური სტილია, როდესაც უფროსები ცდილობენ თანამშრომლობას, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებისას „საბოლოო სიტყვა“ ბავშვს ეკუთვნის. აღმზრდელები გამოირჩევიან ზედმეტი ტოლერანტობით აღსაზრდელთა საქციელის მიმართ, ბავშვები იშვიათად კონტროლდებიან, ამიტომ ისინიც ვერ აკონტროლებენ თავიანთ იმპულსებს და დაბალი აქვთ პირადი პასუხისმგებლობის შეგნება.

- ვთანხმდებით, რომ ბავშვებთან ერთად, მშობლებიც რთულ პროცესებს გადიან. ამ შემთხვევაში, რას ურჩევთ ახალბედა და არამხოლოდ ახალბედა მშობლებს?

- ახალბედა მშობლებს ვურჩევდი, თავიდანვე შეეცადონ, რომ ითანამშრომლონ და არ მართონ თავიანთი შვილები. ამ უნარის განვითარებით ძალიან ბევრ რამეს ისწავლიან ბავშვები: მაგალითად, იმას, თუ როგორ ინტეგრირდნენ სოციუმთან, ჩამოუყალიბდეთ სწორი ურთიერთობები და იყვნენ მიზანდასახულები.

- რამდენად მნიშვნელოვანია მშობლების, როგორც დედის, ასევე, მამის თანაბარი ჩართულობა აღზრდის პროცესში?

- მშობლების თანაბარი ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ასეთ დროს ბავშვი, პირველ რიგში, სწავლობს საკუთარი თავის სიყვარულს, აქვს სწორი თვითშეფასება და სამყაროს ადეკვატური აღქმა. კვლევების თანახმად, იმ მშობლების შვილებს, რომლებიც თანაბრად არიან ჩართული აღზრდის პროცესში, ნაკლებად უვითარდებათ არასრულფასოვნების კომპლექსი, ადვილად გადააქვთ გარდატეხის ასაკისთვის დამახასიათებელი სირთულეები და მარტივად აღწევენ წარმატებას.

- დაბოლოს, მშობლობა რას შეიძლება შევადაროთ?

- მშობლობა შემიძლია შევადარო სამსახურს შვებულების გარეშე და ბუნებრივია, რომ ამ პროცესში მშობელი გადაიღალოს და შეცდომები დაუშვას. ჩემი რჩევა იქნება, არ ფოკუსირდეთ მხოლოდ შეცდომებზე და დატკბით შვილებთან ურთიერთობით.

> ***„ერთ-ერთი მთავარი ასპექტი პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში არის აზროვნება, რომლის განვითარებაში მშობლის როლი ძალიან დიდია. ფილოსოფოს ჯონ ლოკის აზრით, „ბავშვი არის სუფთა დაფა“, რომელზეც მშობელს ის შეუძლია დაწეროს, რაც უნდა. ანუ ბავშვი მთლიანად მშობლის აზროვნების შედეგია***

უცხოეთი

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ჟოზეფ ბორელი რუსეთს მოუწოდებს, არ გააძლიეროს თავდასხმები უკრაინაზე, მას შემდეგ, რაც მოსკოვმა კიევი კრემლზე თავდასხმასა და პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მკვლელობის მცდელობაში დაადანაშაულა. „ომის ერთადერთი გამოსავალი არის, რომ რუსეთმა შეაჩეროს თავდასხმა და გაიყვანოს თავისი ჯარები უკრაინიდან“, - აღნიშნა ბორელმა. 3 მაისს რუსეთის პრეზიდენტის პრესსამსახურმა განაცხადა, რომ „ღამით კიევის რეჟიმს ჰქონდა უპილოტო საფრენი აპარატებით კრემლზე დარტყმის მცდელობა, რაც იყო დაგეგმილი ტერაქტი და პრეზიდენტზე თავდასხმა“. რუსეთის უშიშროების ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი მედვედევმა კი განაცხადა, რომ კრემლზე განხორციელებული ტერაქტის შემდეგ დღის წესრიგში დადგა ზელენსკის ლიკვიდაციის საკითხი. კიევი მომხდარში მონაწილეობას უარყოფს.

* * *

აშშ-ის სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენის განცხადებით, რუსეთი მოლაპარაკებებისთვის მზად არ არის. „არანაირი მტკიცებულება არ არსებობს იმისა, რომ რუსეთი სერიოზული დიპლომატიისთვის არის მზად. პირიქით, მხოლოდ ბოლო კვირის განმავლობაში უკრაინის სამოქალაქო ობიექტებზე საზარელი თავდასხმების თვითმხილველები გავხდით“, - აღნიშნა ბლინკენმა. მისი თქმით, იმისთვის, რომ რუსეთმა მოლაპარაკებები დაიწყოს, „ღრმა ცვლილებები უნდა მოხდეს როგორც პუტინის, ისე რუსეთის ცნობიერებაში.“

* * *

შეერთებული შტატები დიდ ყურადღებას უთმობს საჰაერო თავდაცვის საშუალებებით მათ უზრუნველყოფას, - განაცხადა თეთრი სახლის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სტრატეგიული კომუნიკაციების კოორდინატორმა ჯონ კირბიმ. მისი თქმით, უკრაინელებმა მიიღეს თითქმის ყველაფერი, რაც კონტრშეტევისთვის ითხოვეს, ამასთან, შეძლეს რუსული ძალების მიერ ბოლო 48-72 საათის განმავლობაში ნასროლი ფრთოსანი რაკეტების უმეტესი ნაწილის ჩამოგდება საჰაერო თავდაცვის სისტემების წყალობით, რომლებიც მათ არა მხოლოდ შეერთებულმა შტატებმა მიაწოდეს“.

* * *

ჩინეთი უწყვეტად დაეხმარება და ხელს შეუწყობს სამშვიდობო მოლაპარაკებებს. მზად ვართ შევიტანოთ პრაქტიკული წვლილი უკრაინის კრიზისის პოლიტიკურ მოგვარებაში რუსეთთან კონტაქტებისა და კოორდინაციის გზით, - განაცხადა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ცინ განმა, რომელიც რუს კოლეგა სერგეი ლავროვს ინდოეთის გოას შტატში, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტის ფარგლებში შეხვდა. მისი თქმით, პეკინსა და მოსკოვს შორის ურთიერთობები ჩინეთის პრეზიდენტ სი ძინპინის რუსეთში ბოლო ვიზიტის შემდეგ გაძლიერდა. „ჩინეთი და რუსეთი ინარჩუნებენ აქტიურ კონტაქტებს ყველა დონეზე, ხელს უწყობენ თანამშრომლობას ყველა მიმართულებით. ჩინეთი მზად არის გააძლიეროს სტრატეგიული კონტაქტები რუსეთთან და გააღრმავოს თანამშრომლობა ყველა სფეროში“, - აღნიშნა ჩინეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

მოამზადა
ია შველიძემ

„ბუნება, სადაც ეტლით შემიძლია გავიდე, ჩემთვის სამოთხეა და სიმშვიდეს მგვრის“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ნინო ნოღაიდელი პროფესიით ღონისძიებების მენეჯერია, ის ეტლით მოსარგებლეა და ამბობს, რომ ეტლი მისთვის მხოლოდ დამხმარე საშუალება არაა, ის მისი სამკაულიცაა. ნინო ქობულეთის მერიაში შშმ საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრია. ცხოვრება ისეთი უყვარს, როგორიც ერგო და მიუხედავად ყველაფრისა, ბედნიერია.

დაბადების თარიღი, ადგილი - 17. 12. 1973, ქობულეთი.

ჰობი - აქტივობა თავისუფალ დროს - ვკითხულობ, ვუსმენ, ვუყურებ ან ვსეირნობ.

საქართველოში რომ არ დავბადებულიყავი - მაინც საქართველოში დავიბადებოდი.

ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია - დედაჩემის, ჩემი ოჯახის წევრების და ვინც მიყვარს, იმ ადამიანების ჯანმრთელობა და სიცოცხლე. დანარჩენი ყველაფერი ჩვენს ხელთაა.

დილა იწყება - ჭიქა ყავით ვჯდები კომპიუტერთან და ვამოწმებ შემოსულ შეტყობინებებს, ვეცნობი სიახლეებს.

ბავშვობიდან ყველაზე მძაფრად მახსენდება - ყირიმში, რეაბილიტაციისას, ტალახის აბაზანების სუნი. დღემდე მძაფრად აქვს ტვინს დამახსოვრებული.

საყვარელი მუსიკალური მიმდინარეობა და შემსრულებელი - ვუსმენ კლასიკას, ჯაზს, როკს, პოპს. ძალიან მიყვარს ბავშვობიდან მაიკლ ჯექსონი.

კერპი - ძლიერი ქალები, მხოლოდ ერთს ვერ დავასახელებ.

დაუვიწყარი მოგზაურობა - მამაჩემს უთხრეს, რომ ზოტში მიწიდან თბილი წყალი ამოდიოდა და სასწაულებს ახდენდა, მაგრამ წყალთან მისასვლელი გზა არ იყო. მამამ გადაწყვიტა, რომ როგორმე უნდა წავეყვანე და წავედით მამა, ჩემი ძმა, მე და მამის მეგობარი - ოჯახით. მათაც შვილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ჰყავდათ. ჯერ მსუბუქი მანქანით ვიარეთ, მერე „ვილისით“, ტრაქტორით, ცხენით, ბოლოს კი ფეხით. მე მამამ ზურგით მატარა. აი ისე, როგორც ქართულ ფილმ „მამაში“. იქ, ზოტში, მთებს შუა, მდინარის პირას პატარა ქოხი იდგა წარწერებით, ვინ როდის იყო იქ და ღამე გაითენა. ქოხი ოროთახიანი იყო. მეორე ოთახში კეთილი, სტუმართმოყვარე ადამიანები ცხოვრობდნენ. ერთ ბიძიას ჭიჭიკო ერქვა. ცხენი ჰყავდა. სათევზაოდ დადიოდა. ერთხელ ცოცხალი კალმახი მაჩუქა. თასში ჩამისვეს და თამაშისას ისე მაგრად მიკბინა, რომ დამეტყო. ჩემ გარდა ყველა იცინოდა. ძალიან საინტერესო იყო და დაუვიწყარი დარჩა ჩემთვის იქაურობა, იქ გატარებული დღეები. ლამფით ვინათებდით, საკვებს „შუაცეცხლზე“ ვამზადებდით, მდინარეში ვიჭერდით მთის კალმახს და იქვე ვწვავდით. უკან ჩამოსასვლელად მამამ ვერტმფრენი სთხოვა აჭარის ხელმძღვანელობას. დიდხანს იტრიალა ვერტმფრენმა ცაში, მაგრამ პილოტმა მთებშუა მისი დასმა ვერ შეძლო და ისევ ჯერ ფეხით, მერე ცხენით, ტრაქტორით, „ვილისით“, ბოლოს - მსუბუქი მანქანით დავბრუნდით შინ.

ბავშვობაში მეგონა - რომ მაიკლ ჯექსონს გავიცნობდი, ისე ძალიან მიყვარდა.

თავისუფალი დრო რომ მაქვს - ვფიქრობ, ვუყურებ ან ვკითხულობ.

ყველაზე გემრიელად ვამზადებ - დედაჩემი ამზადებს კარგად და ბევრი რამის მომზადება მისგან ვისწავლე.

საყვარელი ადგილი - ბუნება, სადაც ეტლით შემიძლია გავიდე, ჩემთვის სამოთხეა და სიმშვიდეს მგვრის.

სიტყვა, რომელსაც ხშირად ვიყენებ - გთხოვთ, გმადლობთ!

ყველაზე კარგი რჩევა, რომელიც მოუციათ - რომ უნდა ვიყო აქტიური.

ცნობილი ადამიანები, რომლებსაც პირადად ვიცნობ - ცნობილ ექიმებს, ადვოკატებს, პოლიტიკოსებს, ხელოვანებს.

ბოლოს წავიკითხე - მეორედ - „ოქროს ჩარდახი“ (აკაკი ბელაშვილი).

ფილმი, რომელიც ბოლოს ვნახე - „ანა კარენინა“.

ჭორი საკუთარ თავზე - საბავშვო ბაღის ხელმძღვანელად ვინიშნები.

საოცნებო ქვეყანა, ქალაქი - რომ მქონდეს შესაძლებლობა, ვიმოგზაურებდი და პირველს იტალიას ვნახავდი.

არასოდეს - თუნდაც ჩემი ყველა „ოცნების“ ასახდენად არ მოვიქცევი უღირსად.

მიყვარს - ადამიანები, რომლებიც აღებულ ვალდებულებებს პირნათლად ასრულებენ და როგორც შეუძლიათ, ისე აკეთებენ სიკეთეს.

მძულს - სიხარბე, სიძუნწე.

მეშინია - და ღმერთს ვთხოვ, აღარ მომასწროს სიცოცხლეზე მეტად ვინც მიყვარს, მათი წუთისოფლიდან წასვლა.

ვოცნებობ - ჩვენს ქვეყანაში ყველას გვქონდეს საკუთარი თავის რეალიზების და აქტიური ცხოვრების შესაძლებლობა, რადგან მე აქტიურობის გარეშე არ შემიძლია. მინდა, ვიყო დასაქმებული და მქონდეს ღირსეული ცხოვრება.

ვტირი, როცა - ადამიანებს უმწეო მდგომარეობაში ვხედავ.

ვიბრძოლებ - და გავაკეთებ ყველაფერს, რაც ჩემზეა დამოკიდებული, რომ უკეთესი მომავალი გვქონდეს.

ჩემი თვისებებიდან ვმალავ - არ ვმალავ - ვარ ზარმაცი.

ყველაზე დიდი წარმატება - ჩემი ადვოკატირებით წლების წინ ვიგემე წარმატება და გულწრფელად გეტყვით, რომ ძალიან სასიამოვნო განცდაა.

უნარი, რომელსაც მინდა ვფლობდე - ბავშვობაში ვხატავდი. განვითარება რომ მეცადა... ახლა უკვე მინდა.

სიამოვნებას ვიღებ - როცა ადამიანებს ვეხმარები და ჩემით გამოწვეულ ღიმილს ვხედავ.

ვამაყობ - მეგობრებითა და საკუთარი თავით, რომ მეგობრების „ოქროს ფონდი“ მყავს.

ვიტყუები, როცა - ყველა წყენას ვაანალიზებ და მაინც ვუძებნი გამართლებას. ვცდილობ, არ მეწყინოს და მეტკინოს. ყოველთვის არ გამომდის და ზოგჯერ ვიტყუები, რომ არ მწყენია.

ვგეგმავ - მარტო - ვერაფერს, მაგრამ ვგეგმავთ მუშაობას შშმ პირთა ცნობიერების კიდევ უფრო ამაღლებისთვის და ქობულეთი რომ იყოს ყველაზე უფრო ადაპტირებული, ყველასთვის მისაწვდომი ქალაქი... და არამხოლოდ ქალაქი.

საკუთარ თავში მომწონს - მტკიცე ხასიათი.

საკუთარ თავში არ მომწონს - სიზარმაცე.

სხვებში ყველაზე მეტად ვაფასებ - ერთგულებას, სამართლიანობას.

სხვებში ყველაზე მეტად მაღიზიანებს - გაკეთებული საქმის დაუნახაობა.

სიამოვნებით დავისვენებდი - მთაში.

არასოდეს - ვუღალატებ.

საკუთარ თავში შევცვლიდი - არაფერს.

ყველაზე ბედნიერი ვარ, როცა - მომავლის სხივს ვხედავ.

ნივთი, რომელსაც სულ ვატარებ - მობილური.

ვერასოდეს ვაპატიებ - ტყუილსა და ღალატს.

ვნანობ - რაც ჩემზე არ იყო დამოკიდებული. ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო. ეს შესაძლებლობები, რაც დღეს შშმ პირებს გვაქვს, ჩემს ბავშვობაში არ გვქონდა. მე შინ სწავლებით დავამთავრე სკოლა. ძალიან მინდოდა, სწავლა უნივერსიტეტში გამეგრძელებინა, მაგრამ ჩემი ოცნება უნივერსიტეტის კიბეებთან მთავრდებოდა. თითქოს ყველა უფლებით ვსარგებლობდით, არადა, კარი ყველგან მიკეტილი იყო ჩვენთვის. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ მეტი მონდომება იყო საჭირო, თორემ შეუძლებელი არაფერიაო, მაგრამ ეტლით მოსარგებლე ადამიანისთვის ასე არ არის.

მჯერა - ყველაფერი უკეთესად იქნება.

ვწუხვარ - ყველაფერზე, რაც ჩემს ქვეყანას სტკივა.

თავისუფლება ჩემთვის ნიშნავს - განათლებას და ყველასთვის მისაწვდომ გარემოს.

სკოლაში ჩემი საყვარელი საგანი - ქართული ენა და ლიტერატურა.

ყველაზე ცუდად ვსწავლობდი - მათემატიკას.

ადამიანს ვუთმობ, როცა - დავანახებ ჩემს სიმართლეს.

უხამს ადამიანებს ვპასუხობ - ყველაზე კარგი პასუხია იგნორირება.

ყველაზე ძვირფასი საჩუქარი, რაც მიმიღია - საჩუქრის სიძვირფასე არ განმისაზღვრია ფასით. ძვირფასი ადამიანის ნაჩუქარი ყველაფერი მეძვირფასება და სულ თან ვატარებ.

ყველაზე გამაღიზიანებელი შეკითხვა ადამიანებისგან - არ მაღიზიანებს კითხვები - პასუხის გაცემა შემიძლია.

ახლა ყველაზე მეტად მინდა - მოლოდინი გამიმართლდეს.

ფაქტი ჩემ შესახებ, რომელიც არავინ იცის - არ ვიცი.

უახლოესი გეგმა და მიზანი - ვიმუშაო კიდევ უფრო მეტი შშმ პირთა ცნობიერების ამაღლების კუთხით. დავსაქმდე და ვიყო კიდევ უფრო ძლიერი.

უკრაინა

United 24-ის ინიციატივის ფარგლებში, წლის განმავლობაში, უკრაინამ 325 მილიონი დოლარი შეაგროვა, ხოლო „დრონების არმიის“ პროექტის ფარგლებში, დრონების 10 ათასი ოპერატორი უკვე გადამზადდა. ამის შესახებ უკრაინის ვიცე-პრემიერმა და ციფრული ტრანსფორმაციის მინისტრმა მიხაილო ფედოროვმა განაცხადა. „ერთ წელიწადში 325 მილიონი დოლარის შეგროვება მოვახერხეთ. საინტერესოა, რომ ხალხი მხარს გვიჭერს მსოფლიოს 110 ქვეყნიდან.“ - თქვა მან. მინისტრმა განაცხადა, რომ „დრონების არმიის“ პროექტი აგრძელებს განვითარებას. მორიგი სასწავლო ბანაკი ახლახან დასრულდა და იქნება ახალი საწვრთნელი ბანაკები უპილოტო საფრენი აპარატებისთვის. „დრონების არმიის“ პროექტი ასევე ეხება დამრტყმელი დრონების ასეულების გაშვებას. უკრაინის მიზანი 60 ასეთი ასეულის შექმნაა.

* * *

უკრაინის შეიარაღებული ძალები „ვაგნერის“ დამფუძნებელ ევგენი პრიგოჟინის განცხადებას გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც საარტილერიო ჭურვების უკმარისობის გამო 10 მაისს მისი ბოევიკები ბახმუტს დატოვებენ. უკრაინის სამხედრო ხელმძღვანელობაში მიიჩნევენ, რომ პრიგოჟინს არა ჭურვები, არამედ ბოევიკების რაოდენობა ეწურება. აღმოსავლეთ სარდლობის სპიკერის თქმით, პრიგოჟინის განცხადებების მიუხედავად, ბახმუტში კვლავ უმძიმესი ბრძოლები მიმდინარეობს.

* * *

რუსულმა ძალებმა 4 მაისის ღამეს უკრაინის წინააღმდეგ თავდასხმისთვის 24-მდე Shahed-136/131 ტიპის „კამიკაძე“ დრონი გამოიყენეს, - უკრაინული მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების საჰაერო ძალებში განაცხადეს. მათივე ცნობით, უკრაინელებმა 18 უპილოტო საფრენი აპარატი გაანადგურეს. საჰაერო ძალებში აცხადებენ, რომ მოწინააღმდეგემ დრონები ჩრდილოეთის მიმართულებიდან (კერძოდ, რუსეთის ფედერაციის ბრიანსკის ოლქიდან) და სამხრეთიდან - აზოვის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გავლით გაუშვა. საჰაერო ძალების ცნობით, დრონები გაანადგურეს უკრაინის ჩრდილოეთ, ცენტრალურ და სამხრეთ ოლქებში.

* * *

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკრაინისთვის სამხედრო დახმარების ახალი - 300 მილიონ დოლარამდე ღირებულების პაკეტი გამოაცხადა, - ამის შესახებ პენტაგონის განცხადებაშია აღნიშნული. აშშ-ის თავდაცვის უწყების განმარტებით, დახმარება გამიზნულია უკრაინის უსაფრთხოებისა და თავდაცვის კრიტიკული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ახალი სამხედრო დახმარების პაკეტი მოიცავს სარაკეტო სისტემა HIMARS-ის საბრძოლო მასალებს, 155 მმიან ჰაუბიცებს, საარტილერიო ჭურვებს, ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებს, სატვირთო და მისაბმელიან მანქანებს მძიმე ტექნიკის ტრანსპორტირებისთვის, ავტომობილების სადიაგნოსტიკო აღჭურვილობას, სათადარიგო ნაწილებსა და სხვა საველე აღჭურვილობას. „შეერთებული შტატები გააგრძელებს მუშაობას მოკავშირეებსა და პარტნიორებთან, რათა უკრაინას მიაწოდოს შესაძლებლობები ბრძოლის ველზე მისი უშუალო მოთხოვნილებების, ასევე უკრაინის უსაფრთხოებისთვის გრძელვადიანი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად“, - აღნიშნულია პენტაგონის განცხადებაში.

* * *

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ გამოთქვა რწმენა, რომ აგრესორი სახელმწიფოს ლიდერ ვლადიმირ პუტინს ჰააგის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს უკრაინაში სამხედრო დანაშაულებისთვის დასჯის. ამის შესახებ მან ICC-ში სიტყვით გამოსვლისას ისაუბრა. „ძვირფასო ნიდერლანდელებო, ჩვენ მოხარული ვართ, რომ დღეს აქ ვართ, თქვენს ძლიერ ქვეყანაში, თავისუფლებისა და სამართლიანობის, ფუნდამენტური ღირებულებების ქვეყანაში... რა თქმა უნდა, ყველას გვინდა აქ სხვა ვლადიმერის ნახვა, ჰააგაში, ვინც იმსახურებს, დაისაჯოს თავისი დანაშაულებრივი ქმედებების გამო. ეს უნდა გაკეთდეს აქ, საერთაშორისო სამართლის დედაქალაქში. დარწმუნებული ვარ, ეს მაშინ მოხდება, როცა გავიმარჯვებთ... და ჩვენ გავიმარჯვებთ!“, - თქვა ზელენსკიმ. თავის გამოსვლაში სახელმწიფოს მეთაურმა ასევე აღნიშნა, რომ უკრაინას არ შეუძლია დაუშვას ჰიბრიდული იმუნიტეტი (ომის დამნაშავეებისთვის) ან ჰიბრიდული მშვიდობა, რომელიც დაკავშირებულია ფრონტზე საომარი მოქმედებების შეჩერებასთან. „მხოლოდ საიმედო მშვიდობა, ნამდვილი მშვიდობა, რეალური თავისუფლება, რეალური სამართლიანობა. ეს არის ზუსტად ის, რაც ახლა გვჭირდება“, - თქვა ზელენსკიმ.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

„სულიერ სრულყოფას არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

„ბათუმო, ჩემო ლურჯო ქალაქო, ჩემი ოცნების ცისფერო სევდავ, მეალერსება პალმის მარაო და შენს ქუჩებში სიმღერას ვბედავ“ - 70-იან წლებში, ბულვარში ყოველ საღამოს ისმოდა სიმღერად ქცეული ეს ლექსი, რომლის ავტორი ახალგაზრდა პოეტი, სტუდენტი გოგონა ბაბო ხვედელიძე იყო. ახლა ქალბატონი ბაბო რამდენიმე წიგნის ავტორია, პედაგოგის, ჟურნალისტის გზა წარმატებით განვლო და თავის დიდებულ ოჯახში ხარობს, შვიდი შვილიშვილის საუკეთესოდ აღმზრდელის ყოველი დღე პოეტური განწყობით, ოჯახსა და ახლობლებზე, მეგობრებზე ზრუნვით, სიყვარულითაა სავსე. დღეს ქალბატონი ბაბო გაზეთ „აჭარის“ სტუმარია

- ძველ ბათუმელებს კარგად ახსოვთ თქვენს ლექსზე შექმნილი სიმღერა ბათუმზე... გაიხსენეთ მისი შექმნის ისტორია...

- სიამოვნებით გავიხსენებ. ანსამბლ „ადილას“ ხელმძღვანელმა ანზორ თავბერიძემ მთხოვა, მისი შექმნილი მუსიკისთვის ლექსი დამეწერა. ფორტეპიანოს მივუჯექი და... დაიბადა „სიმღერა ბათუმზე“. საკავშირო კონკურსზე რომ ვაცილებდი, ალეკო ხომერიკმა ვედრებასავით წარმოთქვა: „შენი ღმერთი გვფარავდეს, ბაბო!“ გამარჯვებულები დაბრუნდნენ და წლების მანძილზე ეს სიმღერა ისმოდა ბულვარში, რადიოში, სუფრაზე. მოკლედ, ბათუმთან ერთად ჩემი მეგობრებიც მღეროდნენ და ბედნიერი ვიყავი.

- როცა პირველად ბათუმი იხილეთ... შთაბეჭდილება, რომელიც არ განელებულა...

- ზღვაზე რომ ლექსი დავწერე, ნანახიც არ მქონდა. მხოლოდ მეცხრეკლასელმა სასკოლო ექსკურსიაზე ვნახე ქათქათა ბათუმი პატარა, ლამაზი სახლებით და მოვლილი ეზოებით. იმ დღეს ნაადრევად მოთოვა, გზაში სამი დღე ჩავრჩით და გავწვალდით... მერე კი ხუთი წელი ბედნიერი დავაბიჯებდი ამ წალკოტში, თუმცა შემდეგ ათი წლით დავეკარგე ბათუმს და პოეზიასაც, როგორც შოთა ზოიძე ამბობდა და რომ გესტუმრეთ, დავწერე: „დაბრუნებას მონატრება ჰქვია, მონატრება - უპირველეს თქვენი!“. მერე ისევ ათი წლის შემდეგ, ჩემმა რედაქტორმა მომავალინა და ჟურნალისთვის ვრცელი ნარკვევი ჩავუტანე, რომელსაც სათაურად პოეტის სტრიქონი ჰქონდა: „გულზე ბათუმი მაქვს მიჯაჭვული“. მახსოვს, პატარა ქალიშვილი მახლდა (ნიაზ ზოსიძემ კაკლის მურაბის თვალებიანი შეარქვა). ერთი ლექსი მაქვს. - „ათ წელიწადში ერთჯერ ვწერ ლექსებს“... ხუმრობა არ გეგონოთ, ჩემი პოეზია ბათუმთან არის დაკავშირებული.

- ის ბათუმელები, ქალაქისა და თვით თქვენი ცხოვრების ფურცლებს რომ ავსებენ...

- ჩემი ცხოვრების ფურცლებს ავსებენ: გენრიეტა ქუთათელაძე, პირველმა რომ შემამჩნია და ჩემს ლექსებს და მხატვრულ ნარკვევებს მწვანე შუქი აუნთო, ნესტორ მალაზონია - საყვარელი ბაბუ, ლადო სეიდიშვილი - ჩემი პოეზიის საღამოზე რომ დამხატა აჭარის მწერალთა კავშირში, მკაცრი ნადია საბაშვილი - მოსკოვში 200 წლის წინათ დაბეჭდილი „სახარება“ და „სამოციქულო“ რომ მისახსოვრა, თამაზ აფხაზავა - „ბიტლზის“, ვისოცკის თუ ფეხბურთის დაუძინებელ მეგობრად რომ მაქცია... ლევან აბაშიძე, აბელ სურგულაძე, ნელი დუმბაძე, ცისანა ანთაძე... ეს სია ძალიან გრძელია, მე მათ უანგარო სიყვარულს და ზრუნვას მუდამ ვგრძნობდი და მეც ბევრს, როგორც ნელი დუმბაძეს, დაგვიანებით, მაგრამ მაინც ჩურჩულით გავუმხილე სიყვარული...

- პედაგოგი, პოეტი, ჟურნალისტი... ყველა ამ სფეროში სახელი დაიმკვიდრეთ, თავად როგორ წარუდგენთ საკუთარ პერსონას ჩვენს მკითხველს?

- ახლობლები ხუმრობით უგზო-უკვლოდ განათლებულს მეძახდნენ, მე კი თავს მრავალცოლიან კაცს შევადარებ, ვერც ერთს რომ ვერ შეელია. მუშაობა პერევის საშუალო სკოლაში დავიწყე მასწავლებლად და დირექტორის მოადგილედ. ახალგაზრდას ყოველთვის ბევრი სიახლე მოაქვს, მე კარგი, მეგობრული კოლექტივი შემხვდა და ჩემმა პირველივე კონფერენციამ თავისი შედეგებით რესპუბლიკაში რეზონანსი გამოიწვია. მაშინდელი განათლების მინისტრი თამარ ლაშქარაშვილი სკოლაში გვესტუმრა. მალე ევროპაშიც მიმავლინეს იქაური სკოლების მუშაობის გასაცნობად. დღეს ყველა კლასში ვსწავლობ

(შვიდი შვილიშვილი!) და შედარებისას თამამად ვიტყვი: ჩვენს განათლების სისტემას დანგრევა კი არა - საბჭოთა იდეოლოგიისგან განთავისუფლება და ცოტა გაუმჯობესება სჭირდებოდა მხოლოდ. კონკურსში გამარჯვებული ლექსი და მოთხრობა ჟურნალმა „პიონერმა“ მოსწავლეობისას გამოაქვეყნა. ინტენსიურად ვიბეჭდებოდი რესპუბლიკურ პერიოდიკაში. პოეზია ჩემთვის არასოდეს ყოფილა „პური არსობისა“. რევაზ ჯაფარიძე ჩემს პირველ კრებულზე წერდა: „კრებულში არაერთი მადლიანი ლექსია და გულსატკენია, რომ ავტორი მეტისმეტად მკაცრად მოეპყრო თავის ნიჭს და პოეტების მარულაში არ გაერია“. ჟურნალისტობისას რაიკომის მდივნის და ჩემი გემოვნება არ დაემთხვა ერთმანეთს, სამაგიეროდ ბევრ კარგ რედაქტორთან ვთანამშრომლობდი თბილისში, საქართველოს რადიოში - ელდარ იბერთან. ჟურნალისტთა კავშირის წევრი 1991 წლიდან ვარ. მთავარი თავისუფლებაა. არასოდეს ვყოფილვარ პარტიული ფუნქციონერების მეხოტბე. პროტესტმა ბევრი სატირული ლექსი დამაწერინა. ჟურნალ „ნიანგში“ ზაურ ბოლქვაძე გვერდებს მითმობდა და ლექსით მომიწოდებდა: „სატირული თვალით გადმოგვხედე ისევ, ბაჯითელო ქალო, ბაბო ხვედელიძე!“ იყო პერიოდი, როცა ჟურნალისტიკას ჩამოვშორდი, რადგან 2002 წელს თაღლითობის მსხვერპლი გავხდი. უკვე გაყიდული ბინა მოგვყიდეს, რის გამოც ჟურნალ „ბუმერანგიდან“ წამოვედი, ოფიციალური სააგენტო „შანსი“ შევქმენი და ყველაფერი გამოვიძიე. ფაქტობრივად, სახელმწიფო მანქანა გვებრძოდა - ახალი საჯარო რეესტრით ხომ საყოველთაოდ იწონებდნენ თავს! იმ წლებშიც იყვნენ სამართლიანი მოსამართლეები, კი აჭიანურებდნენ მაქსიმალურად, მაგრამ შვიდწლიანი ბრძოლის შემდეგ საჯარო რეესტრმა ამინაზღაურა 15000 დოლარის ზარალი. მოსკოვში გაქცეულ თაღლით ცოლ-ქმარს 6-6-წლიანი პატიმრობა შეეფარდა. მათმა ადვოკატმა დიდი ფული შემომთავაზა (პროკურატურის სურვილიც იყო!), არ დავეთანხმე. უზენაესმა სასამართლომ პრეცედენტულად მიიჩნია საქმე. ესეც უმნიშვნელოვანესია. მსგავს დაზარალებულებს ჩემსავით ხანგრძლივი და რთული გზის გავლა აღარ მოუწევდათ... ასე რომ, სამართალი, მართლია, ურმით, მაგრამ მაინც დადის. ხოლო რაც შეეხება პოეზიას, როცა განწყობა და მოცალეობა მექნება, მომავალშიც დავწერ ალბათ, რადგან პოეზია ჩემთვის თვითთერაპიაა, სადაც ვიმყოფები მარტოობის ფუფუნებაში!

- იყო კარგი პედაგოგი, იოლი როდია, თქვენ ეს შესძელით და რა შეგიძლიათ ახლა ურჩიოთ ახალგაზრდა პედაგოგებს? თქვენი გამოცდილება საინტერესოა.

- სკოლაში ყველა საფეხური გავიარე - საზაფხულო ბანაკის უფროსობიდან სკოლის დირექტორობამდე. რეპეტიტორიც ვიყავი, ყველა აბიტურიენტი უმაღლესი ქულებით გახდა სტუდენტი („პადვალის უნივერსიტეტი“ რომ გაჩნდა, ამ საქმეს ჩამოვშორდი). რჩევისთვის როგორ გავკადნიერდე, მაგრამ მე პირადად არასოდეს ამიღია ფული ჩემი მოსწავლეებისგან, არც მომიმზადებია, გაკვეთილზევე, უფასოდ ვაძლევდი სათანადო ცოდნას. მიყვარს ბავშვები და ვცდილობ, ყოველთვის ვიყო სამართლიანი, ამასთან, დროს არ უნდა ჩამორჩე. სულ ეს არის!

- ოჯახი პატარა სახელმწიფოაო, ნათქვამია... ამ სახელმწიფოს სათავეში ვის მოიაზრებთ... გვიამბეთ თქვენს ოჯახზე...

- გავიზარდე დიდ, პატრიარქალურ, სტუმართმოყვარე ოჯახში. მერე ჩემი პატარა სახელმწიფო შევქმენი, რომლის სათავეში ქიშვარდი ჭიხორია იდგა, ჩემზე 12 წლით უფროსი, ფიზიკა-მათემატიკოსი, სკოლის დირექტორი, განათლებული, გემოვნებიანი მკითხველი და ცნობილი ბიბლიოფილი. მის მიერ განვლილი გზა და კეთილი საქმეები დღესაც დიდად მეხმარება ყოფითი სიძნელეების დაძლევაში. რვა წელია, მარადისობას შეუერთდა. შვილები ხალხისთვის და ქვეყნისთვის უმძიმეს წლებში გავზარდეთ. განათლებაც მიიღეს. მაკა და მისი მეუღლე წარმატებული იურისტები არიან, სამ ნიჭიერ შვილს ზრდიან. გაგა ბავშვობაში მოთხრობებს წერდა. დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მისი თაობიდან ბევრმა გადაუხვია ბავშვობის მისწრაფებებს...

- თქვენს ერთ-ერთ წიგნს „სახსოვარი“ უწოდეთ, რატომ, რისი სახსოვარია ეს წიგნი?

- აჭარის მწერალთა კავშირში ჩემი ლექსების განხილვის ბოლოს, დიდებულმა პოეტმა ზურაბ გორგილაძემ ხელნაწერი ლექსი გადმომცა, რომელშიც ჩემს პოეზიას აქებდა, მაგრამ ასე მთავრდებოდა: „ეს გულიც მოიტა, გოგო!“ - ალბათ წყენა შემატყო, გამიღიმა და შემრიგებლურად მითხრა ლექსადვე: „ნუ შიშობ, ქალო, გიმღერ თორემ, მე კი არ გეტრფი! მე მიყვარს სხვა და მინდა, შენც რომ უყვარდე სულ სხვას“. შევრიგდით. მერეც რამდენიმე მშვენიერი ლექსი მომიძღვნა. დღეს მეამაყება, რომ ბევრი ცნობილი ადამიანის მუზა ვიყავი. სამოცამდე ლექსს, ავტორების ხელნაწერებით რომ შემომრჩა, ჩემს ლექსებთან ერთად ამ წიგნში მივუჩინე ადგილი და „სახსოვარიც“ დავარქვი.

- რა თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს კარგი ადამიანი?

- ადამიანს უნდა გამოარჩევდეს სიბრძნე, დახვეწილი გემოვნება, ენამზეობა, ხელგაშლილობა, გულგაშლილობა და თუ ყველაფერ ამას სასიამოვნო გარეგნობა და სიმდიდრეც ახლავს... მოკლედ, ბევრი ავთანდილი მინდა საქართველოში.

- ენა დედაა ერისა, ეს ყველას პირზე აკერია, უნდა ვუფრთხილდებოდეთო, მაგრამ სინამდვილეში როგორ ვექცევით ჩვენს დედაენას?

- დედაენას ფრიად ბოროტად ვექცევით (განსაკუთრებით, ტელეწამყვანებზე ვბრაზობ, ბეჭდვითი სიტყვა უფრო კარგ დღეშია). ახალს და ამაზე უკეთესს ვერაფერს ვიტყვი, - დედაენა ერის სიძლიერის ქვაკუთხედია.

- სულიერი სრულყოფისათვის რას ურჩევდით ადამიანებს?

- სულიერ სრულყოფას არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული. ახალგაზრდებს ვურჩევდი განათლებას, ცოდნის მიღებას, ინტელექტუალურ განვითარებას.

- როცა კაცობრიობის მომავალზე ფიქრობთ...

- ადამიანის ტვინის შესაძლებლობები უსაზღვროა. ციფრული ეპოქა ბევრ სიკეთეს მოიტანს, მაგრამ ხელოვნური ინტელექტი ადამიანს ვერ შემიცვლის, როგორც აივაზოვსკის ნახატი ვერ შემიცვლის ნამდვილ ზღვას.

- ყველაზე ფასეული, რაც შეიძლება დაუტოვოთ შთამომავლობას?

- ოქროს კუბოთი ახალგაზრდა ტუტანჰამონი დამარხეს, ალექსანდრე მაკედონელს კი დაუბარებია, ხელგაშლილი გამასვენეთ, ყველამ ნახოს, იმ ქვეყნად არაფერი მიმაქვსო. შთამომავლობას გაკეთებული საქმეები უნდა დავუტოვოთ, აბა, სახელი ჰეროსტატემაც კი დატოვა არტემიდას ტაძრის გადაწვით!

- ზღაპრის რომელ გმირს გამოიხმობდით?

- ზღაპარი ყოველთვის იარსებებს, თუნდაც იმიტომ, რომ ადამიანში გადარჩეს ბავშვი. პრინცესობაზე არასოდეს მიოცნებია, როგორც ერთ ლექსში ვამბობ, ახლაც კონკია ვარ, - „საქმიანი, სათნო გოგონა, ერთ მეოცნებე უფლისწულზე დასაწინდავი!“, საქართველოს კი დღეს მოხერხებული, საჭიროებაზე მორგებული, გონიერი ნაცარქექია გამოადგებოდა, ფიზიკური სისუსტის მიუხედავად, დევებს რომ ამარცხებს.

- მაინც რა არის წუთისოფელი?.. როცა ასეთი ფიქრები მოეჯარება ადამიანს, ნუგეში სად უნდა ჰპოვოს, უპირველესად?

- გაუხედნავი კვიცებივით მიქრიან წლები, მაგრამ მიყვარს გაფრენილი დღეების გახსენება. ვფიქრობ, უაზროდ არ მიცხოვრია, თუმცა ბევრი რამ დამრჩა გასაკეთებელი. ბათუმიდან მოულოდნელად რომ გავქრი, დღემდე საყვედურივით ჩამესმის ანზორის შესრულებული მუსიკა და ჩემი დაუსრულებელი ლექსის სტრიქონი: „გაბრაზებულა ბათუმი ჩემზე, მუდამ ტალღებთან მოჩხუბარი“... მოგვიანებით მასზე კომპოზიტორმა ალექსანდრე ხახაშვილმა დაწერა მუსიკა. კარგი იქნებოდა, ისევ ძველ ბათუმელ მომღერალს შეესრულებინა, მაგრამ ძველმა მომღერლებმა დაგვტოვეს, ახლები კი არც მიცნობენ ალბათ. მე ხომ დამალვის ოსტატი ვარ! აი, როცა ასეთი ფიქრები მომეჯარება, ნუგეშს უფალთან ვნახულობ და კიდევ, ძალიან მამშვიდებს ახლობლებისთვის გაკეთებული ქველმოქმედება, როცა ამის შესაძლებლობას უფალი მაძლევს!

- განახლებული ბათუმი თქვენი თვალით...

- მახარებს აღმშენებლობა და განახლებული ბათუმი, მაგრამ ცოტა ძველიც დაგვიტოვეთ, თუნდაც პორტის სანაპიროდან დელფინარიუმამდე. მინდა ბათუმელებს უამრავი სიყვარული ვუსურვო! მე კი თქვენს სახლებში დაუპატიჟებლად შემიძლია გესტუმროთ და თამამად გითხრათ: ძირძველი ბათუმელები თუკი ოდესმე რაიმე ჯილდოს მოიგონებთ ბათუმზე შეყვარებული არაბათუმელებისათვის, ნებისმიერს გავუწევ მეტოქეობას!

- როგორ დაასრულებდით ამ ინტერვიუს?

- ისევ სავსე ვარ ცითა და მზითა, თუმც მეკეცება ფრთები, ბათუმი მიყვარს ცისფერი ზღვით და ბათუმი მიყვარს თქვენით!

> *„გაუხედნავი კვიცებივით მიქრიან წლები, მაგრამ მიყვარს გაფრენილი დღეების გახსენება. ვფიქრობ, უაზროდ არ მიცხოვრია, თუმცა ბევრი რამ დამრჩა გასაკეთებელი. ბათუმიდან მოულოდნელად რომ გავქრი, დღემდე საყვედურივით ჩამესმის ანზორის შესრულებული მუსიკა და ჩემი დაუსრულებელი ლექსის სტრიქონი: „გაბრაზებულა ბათუმი ჩემზე, მუდამ ტალღებთან მოჩხუბარი“...*

გივი ოდიშარიას მასტერკლასები

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმში ორ დღეს იმყოფებოდა სცენარისტი და რეჟისორი გივი (ბესო) ოდიშარია, რომელიც ამჟამად საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს უნივერსიტეტში მოღვაწეობს - კითხულობს ლექციებს კინოდრამატურგიაში. ამავდროულად, არის ქართულ-ამერიკული კინოაკადემიის ლექტორი, საკუთარ პროექტზე მუშაობს - თავისივე სცენარით იღებს ფილმს

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის დოკუმენტური ფილმების სტუდიისა და აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ინიციატივით, ბატონმა გივიმ ორდღიანი მასტერკლასები ჩაუტარა ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტებსა და აჭარის ტელევიზიისა და რადიოს შემოქმედებითი მიმართულების წარმომადგენლებს თემებზე „კინო და ტელესცენარის საფუძვლები“, „თანამედროვე სცენარის ანალიზი“. მან საინტერესოდ ისაუბრა სცენარის სპეციფიკაზე, დღევანდელობაზე. საკუთარი გამოცდილება გაუზიარა მათ.

...თავდაპირველად ინჟინრის სპეციალობას დაეუფლა, მაგრამ შემდეგ კინოში მოღვაწეობა გადაწყვიტა და დაიწყო კიდეც ამისთვის მზადება. მაშინ თბილისში პირველად გაიხსნა თბილისის ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის საღამო დასწრებულზე კინოს ფაკულტეტი. მაშინ იქ მუშაობდნენ ცნობილი რეჟისორები, მათ შორის ოთარ იოსელიანი, რეზო ჩხეიძე.

მალე მისი სცენარის მიხედვით პავლე ჩარკვიანმა მხატვრული ფილმი „კარიერი“ გადაიღო. შემდეგ მოსკოვში წავიდა, სადაც ორწლიან უმაღლეს სასცენარო-სარეჟისორო კურსებზე ისწავლა. მას გაუმართლა - ლექციებს უკითხავდნენ ისეთი ცნობილი რეჟისორები, როგორებიც იყვნენ ტარკოვსკი, დანელია, რიაზანოვი...

მისი სადიპლომო ნამუშევარი (სცენარი) იყო „ჩიორა“, რომელიც საკმაოდ პოპულარული გახდა. მას შემდეგ კინოში მოღვაწეობს. შეკითხვაზე, როგორ გაჩნდა „ჩიორას“ იდეა? - ასე გვიპასუხა: - იცით, ასეთი ფილმის გადაღება ადრეც მინდოდა ახალგაზრდებზე, ცხოვრება ხომ მათ სხვა გამოწვევებს სთავაზობს?

ამას მოჰყვა მის მიერ გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმი „დღესასწაული“, მაგრამ მალე დადგა დრო, როცა ყველასთვის შეჩერდა აქტიური მუშაობა - დაინგრა საბჭოთა კავშირი და ბატონმა გივიმ სარეკლამო მოღვაწეობა დაიწყო... ბოლო წლებში უფრო დოკუმენტურ კინოზე მუშაობს. რამდენიმე თავად გადაიღო, ზოგიც, მისი სცენარით - სხვამ. შექმნა სატელევიზიო ფილმი მერაბ მამარდაშვილის შესახებ, ასევე ნორვეგიელებთან ერთად - „დაბრუნება“. ამჟამად ეროვნულ კინოცენტრში გამარჯვებული სცენარით დოკუმენტურ ფილმს იღებს, რომელსაც პირობითად „ბოლო ზარი“ ჰქვია. იგი მის პირად ისტორიასთანაა დაკავშირებული. - სტუდენტობის დროს ერთ-ერთმა თანაკურსელმა ჯგუფი დაასმინა და ახალგაზრდები „კგბ“-ში აღმოჩნდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ თქვეს: „ოდესმე საქართველო იქნება დამოუკიდებელი“.

- მაშინ, 1973 წელს, ვერც კი წარმოგვედგინა, რომ ეს ასეც იქნებოდა. გვეგონა, ამას ვერ მოვესწრებოდით. ამ სიტყვებისთვის, კიდევ რაღაც ანეკდოტებისთვის აღმოვჩნდით „კგბ“-ს ყურადღების ქვეშ, დამსაჯეს და მეგობარ გოგონასთან ერთად პოლონეთში არ გამიშვეს. სხვათა შორის, ამ ზაფხულს მის მოსაძებნად მივდივართ. ფილმიც ამაზეა და იმედი გვაქვს, ვიპოვით. ჩვენი ურთიერთობიდან რამდენიმე წლის შემდეგ მომწერა, რომ გათხოვდა, გვარიც შეიცვალა... მაგრამ იმედი გვაქვს, ვიპოვით. აი, ფილმი ამაზეა. თუმცა იმის გაგება, „ჩამშვები“ ვინ იყო, სულაც არ არის ჩვენი თვითმიზანი. უბრალოდ, ეს იქნება ფილმი იმ პერიოდზე, რომელიც ხშირად ანგრევდა ადამიანთა ცხოვრებას. ყველა დაწესებულებას ჰყავდა თავისი „კგბეშნიკი“ და ეს ყველამ ვიცოდით.

„აჭარასთან“ საუბარში ბატონმა გივიმ აღნიშნა, რომ შეხვედრა ორივე მხარისთვის საინტერესოდ წარიმართა, დამსწრეებმა საინტერესო კითხვებიც დასვეს და როგორც გვითხრა, მათთან აუცილებლად გააგრძელებს ურთიერთობას - ისინი გადაუგზავნიან იდეებს, პროექტებს და მისგან სათანადო რჩევებსაც მიიღებენ.

„მუსიკასთან ერთად ცხოვრებას უფრო ბევრი და ლამაზი ფერი აქვს“

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

ჩვენი სტუმარი ახალგაზრდა, ნიჭიერი მუსიკოსი ***ქეთი ტიღაშვილია,*** *რომელმაც მუსიკალური შემოქმედებისთვის ფრანგული ინსტრუმენტი ჰობოი აირჩია, რომელიც 1989 წელს გინესის რეკორდების წიგნში შეიტანეს, როგორც ყველაზე რთული ინსტრუმენტი. ქეთიმ საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ კონკურსში მეორე ადგილი აიღო. იგი ახალგაზრდული ორკესტრის კონკურსების გამარჯვებულიცაა. არაერთი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატიც, მათ შორის, არის MERSIN YOUTH SYMPHONY-ს სამგზის გამარჯვებული და ამჟამად სწავლას პარიზში აგრძელებს. საქართველოს განათლების საერთაშორისო ცენტრის 2012-2016 წლების სტიპენდიატიც გახლდათ. ნიჭიერი ახალგაზრდა ამბობს, რომ სიახლეს და სირთულეს არ უშინდება და წარმატების მისაღწევად მონდომებით სწავლობს და შრომობს. იცის ხუთი ენა, მათ შორის - ლათინური.*

- პროფესიის არჩევაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, თქვენს შემთხვევაში რა მოხდა?

- პირველი და უმთავრესი იყო ის, რომ ჩემი ოჯახის წევრები მუსიკოსები არიან, რაშიც ძალიან დიდი ძალა დავინახე და ყველა ჩემი წარმატების წინაპირობა სწორედ ეს იყო. ბებიაჩემს ძალიან უყვარდა ხელოვნება, განსაკუთრებით მუსიკა. სამწუხაროდ, ჩემს ყველა წარმატებას ვერ მოესწრო, მაგრამ ვიცი, რომ იამაყებდა ჩემით და ეს ფიქრი კიდევ უფრო მეტის გაკეთებისკენ მიბიძგებს.

- ჰობოისადმი ინტერესი როდის გაგიჩნდათ?

- ჰობოი ხის სწორი მილია, რომელიც შედგება ზედა და შუა მუხლებისა და სარქველებისაგან. აქვს 25 ხვრელი, აქედან 24 სარქველებითაა დახშული. სწორედ ამ ინსტრუმენტის დამსახურებაა, რომ ჩემთვის, მუსიკასთან ერთად, ცხოვრებას უფრო ბევრი და ლამაზი ფერი აქვს.

- დამოუკიდებელი ცხოვრების უცხოეთში დაწყება რთული არ იყო?

- პირველი რამდენიმე თვე უამრავი განცდა მქონდა ერთმანეთში არეული. მართლაც არაა ადვილი ახალ გარემოსთან, კულტურასთან შეგუება. ცოტა უცნაური, თუმცა სასიამოვნო პროცესი იყო. ალბათ პირველი არ ვარ, ვინც ამბობს, რომ სირთულეები თავიდან, რა თქმა უნდა, არის. ისევე როგორც სხვა ადამიანებმა, მეც გამოვიარე ისინი, მაგრამ ახლა ბედნიერი ყოველთვის ვამბობ დარწმუნებით, რომ მიღებული გამოცდილება ამ ყველაფრად ღირდა. პარიზში ერასმუსის პროგრამით დავიწყე სწავლა. საბედნიეროდ, ხელოვანისთვის არაჩვეულებრივი ადგილია, მხატვრობა, ისტორია, მუსიკა აქ ძალიან ფასდება, ეს კი, რა თქმა უნდა, მოტივაციას გაძლევს, რომ უკეთესი გახდე და უფრო მეტი პასუხისმგებლობით მიუდგე საქმეს. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს ყოველთვის ახლავს საქართველოს, მეგობრებისა და ოჯახის წევრების, ასევე ბათუმის, ზღვის, თბილისის, ქართული სამზარეულოს მონატრება.

- გაიხსენეთ დღე, როდესაც პირველად წარსდექით მსმენელთა წინაშე...

- პირველად თბილისში, ახალგაზრდულ ორკესტრში დავუკარი. ახლაც მახსოვს ის მღელვარება, რაც მაშინ მქონდა, მაგრამ ამ გადასახედიდან ვამაყობ განვლილი გზით... 16 წლისამ საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში დავიწყე მუშაობა. ოთხი წელი ვიმუშავე პირველი ჰობოის პოზიციაზე და სიხარულით ვაკეთებდი იმ საქმეს, რომელიც მიყვარს. ამჟამად ინგოლშტადტის ქართულ კამერულ ორკესტრთან ერთად ვუკრავ. ყველა ორკესტრს თავისი ხიბლი აქვს და ყველგან რაღაცას ვსწავლობ. სხვადასხვა ორკესტრთან ერთად მუშაობა და კონკურსები იმისთვისაა, რომ საკუთარი თავი გამოსცადო. ყველა კონკურსის მერე გამარჯვებული რჩები, რადგან საკუთარ თავზე იმარჯვებ.

- მუსიკოსი რომ არა, ვინ იქნებოდა ქეთი ტუღაშვილი?

- კარგი კითხვაა. ამაზე ხშირად ვფიქრობ, მაგრამ მალევე ვხვდები, რომ ახლა სადაც ვარ, როგორც ვარ და რა საქმესაც ვაკეთებ, იმდენად დიდ სიამოვნებას მანიჭებს, არაფერზე გავცვლიდი. თავისუფალი დრო, რომლის ფუფუნებაც არც ისე ხშირად გვაქვს ჩვენი პროფესიის ადამიანებს, ვცდილობ, ისევ გამოვიყენო, რომ შემდეგ დღეს გამომადგეს. სწორედ ამიტომ, ბევრ დროს ვატარებ ჩემს თავსა და ინსტრუმენტთან.

- ადამიანები, რომელთა მაგალითმა ძალა შეგმატათ...

- უპირველეს ყოვლისა, ჩემი ოჯახი, შემდეგ კი დავით ჭუმბურიძე და კამერული მუსიკის მასწავლებელი გია ქსოვრელი. მათ გამიღრმავეს მუსიკალური განათლება. პარიზში პროფესორ ოლივიე დუაზსა და ფრანსუა ლელუსთან მოვხვდი და ვფიქრობ, რომ იღბლიანი ადამიანი ვარ, ცხოვრებაში შრომასთან ერთად იღბალიც აუცილებელია.

- ორიოდ სიტყვით - გეგმებზეც...

- საქართველო აუცილებლად მოიაზრება ჩემს მომავალთან დაკავშირებულ ყველა ფიქრში. მინდა, მიღებული ცოდნა და გამოცდილება ჩემს თანამემამულეებს გავუზიაროთ.

ოლიმპიადის პირველი ტური დამთავრდა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა დაიწყო, რომელშიც მონაწილეობენ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი სახელოვნებო სკოლების, საჯარო და კერძო სკოლებისა და კულტურის ცენტრების საგუნდო და ქორეოგრაფიული ანსამბლები. სულ 82 ფოლკლორული ანსამბლი და 2 061 შემსრულებელი. მეორე ეტაპზე გადავიდა 36 ანსამბლი და 1 085 შემსრულებელი.

აჭარის სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადის მიზანია ტრადიციული ხელოვნების, ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის წარმოჩენა და პოპულარიზაცია ახალგაზრდა თაობაში, ნიჭიერი შემსრულებლების გამოვლენა და მონაწილეთა შორის შემოქმედებით სიახლეთა გაზიარება, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია.

აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა წარიმართა ეტაპობრივად. პირველი ეტაპი ჩატარდა ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის, ქობულეთის და ბათუმის მუნიციპალიტეტებში. აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადის მეორე ეტაპი ბათუმის მუსიკალური ცენტრში მიმდინარე წლის 8 მაისს გაიმართება.

გამარჯვებული ანსამბლების გალაკონცერტი და დაჯილდოების ცერემონია ჩატარდება 2023 წლის 2 ივნისს - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში.

წარმატება – ძალისმიერ სპორტში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ჩეხეთში გამართულ მსოფლიო თასზე ძალისმიერ სპორტში აჭარის სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს

როგორც აჭარის ძალისმიერი სპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა დავით მჟავანაძემ გვითხრა, ღონისძიებაში სულ 19 ქვეყნის 570 სპორტსმენი, მათ შორის, საქართველოს შვიდი წარმომადგენელი ასპარეზობდა, მათგან ერთი ქალბატონი იყო, შვიდიდან სამი კი აჭარიდან. უკრაინელმა დიმა კასტანიუკმა (საქართველოს მოქალაქეა) ოქროს მედალი დაისაკუთრა, ირაკლი ფუტკარაძემ, რომელიც 110 კგ წონით კატეგორიაში გამოდიოდა, ერთი ბრინჯაო და ერთი ვერცხლი მოიპოვა. მათი მწვრთნელი - დავით მჟავანაძე სამჭიდში გამოვიდა და გაიმარჯვა - დააგროვა 645 კილოგრამი, აიღო პირველი ადგილი და ოქროს მედალი.

დავით მჟავანაძე მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი და მსოფლიოს ხუთგზის რეკორდსმენია. ამჟამად მუშაობს ფიტნეს-დარბაზში ადამიანთა წონის კორექციაზე, თუმცა, ძირითადად, ვარჯიშობს სამჭიდში, ანუ კეთდება სამი მოძრაობა - ჩადომი, წოლჭიმი და ამოწევა. ის სწორედ სპორტის ამ სახეობაშია მსოფლიო ჩემპიონი. სპორტის ამ სახეობის დამფუძნებელიც აჭარაში თავადაა და მწვრთნელიც. ჯერჯერობით რვა მოსწავლე ჰყავს, აქედან ხუთი მსოფლიო ჩემპიონია - ნუკრი დიასამიძე, გიორგი ლორთქიფანიძე, ანრი ბაკურიძე, ირაკლი ფუტკარაძე, ბესო მალაყმაძე. შარშან მხარზე ოპერაცია გადაიტანა და ექიმების მიერ აკრძალული ჰქონდა ვარჯიში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც მოტივირებულია და არცერთ ტურნირს უყურადღებოდ არ ტოვებს.

ჩვენი სპორტსმენები შეეცადნენ, მაქსიმალური შედეგი დაედოთ და ასეც მოხდა - ყველა სინჯის მედლებით ჩამოვიდა.

რაც შეეხება გეგმებს, საქართველოს ძალისმიერი სპორტის ფედერაციისა (პრეზიდენტი - ირაკლი ცხოვრებაშვილი) და აჭარის ძალისმიერი სპორტის ფედერაციის ერთობლივი ორგანიზებით, ივნისის ბოლოს ბათუმი „შავი ზღვის თასის“ ჩემპიონატს უმასპინძლებს. მასში დაახლოებით 6 ქვეყნის 200 სპორტსმენი იასპარეზებს. ეს მასშტაბური ღონისძიება, ტრადიციულად, „ანბანის კოშკის“ მიმდებარედ გაიმართება, სექტემბრის ბოლოს კი ჩვენი სპორტსმენები საქართველოს ღირსებას უნგრეთში - მსოფლიო ჩემპიონატზე დაიცავენ.

33-წლიანი პაუზის შემდეგ „ნაპოლი“ ჩემპიონია!

ეს ისტორიაში მესამედ მოხდა, ოღონდ თუ პირველი ორი სკუდეტოს დროს ნეაპოლელებს ლეგენდარული დიეგო არმანდო მარადონა ჰყავდათ, ახლა „პარტენოპეის“ ლიდერი 22 წლის ხვიჩა კვარაცხელიაა, რომელიც ამ ისტორიული ჩემპიონობის ერთ-ერთი უმთავრესი შემოქმედია 12 გოლითა და 10 საგოლე პასით სერია A-ში...



ნეაპოლში, „დიეგო არმანდო მარადონაზე“, ყველა ბილეთი გაიყიდა მატჩის ტელეეკრანზე საყურებლად. უდინეში, Dacia Arena-ზეც უმრავლესობა სტუმართა გულშემატკივარი იყო.

„ნაპოლის“ სეზონის დასრულებამდე 5 ტურით ადრე ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად ფრეც ჰყოფნიდა და მიაღწია კიდევაც - 1:1. „ოქროს გოლი“ სერია A-ს ბომბარდირ ვიქტორ ოსიმენის ანგარიშზეა...

გამოცემა Calciomercato.com-მა „ნაპოლის“ ფეხბურთელები „უდინეზესთან“ მატჩით კი არა, მთელი სეზონით განსაზღვრა. ხვიჩა კვარაცხელიამ მაქსიმალური, 10 ქულა დაიმსახურა, მხოლოდ ლუჩანო სპალეტისა და ვიქტორ ოსიმენს ერგოთ მსგავსი შეფასება: „კვარავაჯო, კვარადონა, დაარქვით რაც გინდათ, მაგრამ ის, უბრალოდ, საუკეთესო ფსონია ბოლო წლების განმავლობაში. „ნაპოლიმ“ იპოვა ნამდვილი ტალანტი, რომელმაც გოლებით და საგოლე პასებით ამ გუნდის ლიდერობა მოახერხა და ჩვენს ჩემპიონატში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტალანტი გახდა“.

Sportmediaset-მაც მხოლოდ კვარას, სპალეტის (ის ყველაზე ასაკოვანი მწვრთნელი გახდა, ვინც სკუდეტო მოიგო) და ოსიმენს მიაკუთვნა 10 ქულა, კონკრეტულად ხვიჩაზე კი გამოცემა წერს: „სეზონის ყველაზე ლამაზი სიურპრიზი. პირველივე დღიდან დამანგრეველი გავლენა, მოქმედებები მოედანზე, რომელმაც „ნაპოლის“ ფანების თვალები გაანათა და ოცნებების უფლება მისცა. „კვარადონა“, როგორც თავიდანვე შეარქვეს, „ნაპოლის“ სიმბოლური სახეა, რომელიც სერია A-ში დომინირებდა აუტსაიდერის პოზიციიდან. ოსიმენთან ურთიერთგაგება საოცარი იყო, იტალიაში მის პირველივე სეზონში ორნიშნა რაოდენობის გოლები გაიტანა და საგოლე პასები გააკეთა, რაც იმის მტკიცებულებაა, რომ სეზონის განმავლობაში ძალიან სტაბილური იყო. ის გახდა ჩვენი ლიგის ისტორიაში ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც სამჯერ დაასახელეს თვის (აგვისტო, თებერვალი, მარტი) საუკეთესო მოთამაშედ და მხოლოდ ერთ სეზონში მისი საბაზრო ღირებულება 10-ჯერ გაიზარდა“.

Corriere Dello Sport-ისთვის კვარაცხელია „ნაპოლის“ ერთადერთი ფეხბურთელი აღმოჩნდა, რომელსაც მაქსიმალური შეფასება - 10 ქულა ერგო (ოსიმენს 9,5 ქულა დაუწერეს): „საუკეთესოს არჩევა მარტივია, როგორც მისი დრიბლინგები. მისი ამბავი იმსახურებს დისნეის ზღაპარს. ერთხელ იყო ინსინიე, რომელიც მარცხენა ფლანგს ტოვებს და ჩამოდის ქართველი, რომელიც, როგორც ამბობენ, ძალიან კარგია და ეროვნულ ნაკრებში ბრწყინავდა, მაგრამ პირდაპირ ბათუმიდან და არცთუ ისე პრესტიჟული „დინამოდან“ მოდის. ჯუნტოლის დახუჭული თვალებით სჯერა მისი და სპალეტი პირველივე ვარჯიშებზე იხიბლება. ტიფოზები? მათ შეკითხვების დასმის დრო არც ჰქონიათ: კვარას პირველი ოფიციალური გოლის გასატანად მხოლოდ 37 წუთი დასჭირდა, მხოლოდ 37 წუთი! არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც 37 წუთში რეცხვას ვერ ასწრებენ. ის სწრაფად ადაპტირდა იმ ჩემპიონატში, რომელმაც იმსხვერპლა არაერთი ნიჭიერი ფეხბურთელი, რომლებმაც იტალიაში ვერ აჩვენეს თავიანთი ნიჭი. 37 წუთი და... თავით გოლი. ეს არ არის მისი სპეციალობა, უბრალოდ, მან გააფრთხილა მსოფლიო, რომელიც მას ჯერ კიდევ აბუჩად იგდებდა, გაუგზავნა მათ მესიჯი: „მე შემიძლია გოლის გატანა ნებისმიერი მეთოდით“. კვარა რთულ საქმეებს მარტივს ხდის. მთვარის მოტანაც რომ გეთხოვათ, ის, ალბათ, გამოჩნდებოდა თქვენს სახლში თანამგზავრით და ბოდიშს მოიხდიდა 2 წუთით დაგვიანებისთვის... ბრაზილიელი გარემარბივით თამაშობს, კარის წინ აისბერგივით ცივია. მაშინაც კი, როცა არასასიამოვნო მეტოქეებს ხვდება, მაინც ახერხებს 3-4-ჯერ გაქცევას და კარისკენ მიდის. როდესაც მოწინააღმდეგე მწვრთნელები ბოლოს და ბოლოს ხვდებიან, რომ ერთი მცველი საკმარისი არაა მის შესაჩერებლად, მეურვეობას აორმაგებენ, მაგრამ ის პოულობს გზას, რომ ისინი მოატყუოს. ვინც მის წინააღმდეგ ითამაშა, არასოდეს დაივიწყებს მის სახელს, მიუხედავად იმისა, რომ მის მეტოქეთა უმრავლესობას მოუწია მისთვის უფრო დიდი ხანი ზურგიდან ეყურებინა, ვიდრე მისი სახე დაენახა.

კვარა იყო სიხარულის აფეთქების მუხტი და ამაჩქარებელი, რომელიც ამღვრევს ამ ქალაქის გრძნობებს. ეს „სკუდეტო“ ყველას ეკუთვნის, მაგრამ მომავალ წელს „ნაპოლი“ მაისურებს რომ შეკერავს, მკერდთან ყველაზე ახლოს მისი გვარი უნდა ეწეროს: კვარაცხელია“.

იტალიის ჩემპიონობის შემდეგ ამბიციური გეგმები აქვს „ნაპოლის“ პრეზიდენტ აურელიო დე ლაურენტისს. როგორც მან აღნიშნა, ის ლუჩანო სპალეტის შენარჩუნებასაც აპირებს და გუნდის ლიდერებისაც: „ახლა არ უნდა გავჩერდეთ, სტაბილურები უნდა ვიყოთ და გავაგრძელოთ გამარჯვება ამავე გმირებთან ერთად, რადგან ისინი არასდროს შეიცვლებიან. და თუ მაინც ვინმე ჩვენთან ბედნიერი არ არის, აუცილებლად გავუშვებთ. კვარა და ოსიმენი არსად მიდიან, ხელშეუხებელნი არიან“, - უთხრა დე ლაურენტისმა Rai-ს.

ნაპოლის პრეზიდენტმა ჩემპიონთა ლიგის ამბიციაზეც კიდევ ერთხელ ისაუბრა: „ახლა ჩემპიონთა ლიგა გვაქვს მოსაგები. ჩემი აზრით, წელს ამ ტურნირზეც უძლიერესები ვიყავით, მაგრამ ცუდი მსაჯების გამო გავვარდით. ეს არის უეფას ფეხბურთი, მაგრამ კიდევ ვეცდებით“.

მოამზადა
ამირან გურიელიძემ

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადუარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. გალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოროვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 5/05/23, 20 40 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

სპექტაკლი, რომელიც დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს გვპირდება

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი 86-ე თეატრალური სეზონის რიგით მეექვსე სპექტაკლის პრემიერით „ვინი პუჰი“ წარსდგება მაყურებლის წინაშე. აღსანიშნავია, რომ სპექტაკლი დაყოფილია სამ ნაწილად, ანუ მაყურებელი სამი დამოუკიდებელი, 35-წუთიანი ეპიზოდის პრემიერას სამი დღის განმავლობაში იხილავს. 10 მაისს (17:00 საათი) გაიმართება სპექტაკლის პირველი ეპიზოდი „ინგლისური თაფლი და ახალი მეგობრები“, 11 მაისს - მეორე ეპიზოდი „მოგზაურობა“, მესამე ეპიზოდის პრემიერაც, სახელწოდებით „ლონდონი“ ძალიან მალე გაიმართება

როგორც რეჟისორმა ნინო მაღლაკელიძემ გვითხრა, თოჯინური სპექტაკლი „ვინი პუჰი“, რომლის სარეკომენდაციო ასაკი 2+ია, არაერთ სიურპრიზს სთავაზობს როგორც პატარებს, ასევე მათ მშობლებს. მისივე განმარტებით, მაყურებელი თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე განსხვავებული სცენარით წარმოდგენილ „ვინი პუჰს“ იხილავს. ეს არის შემეცნებითი ხასიათის სპექტაკლი, რომელიც მეგობრობის ძალაზე მოუთხრობს პატარებს საინტერესო თავგადასავლის ფონზე. მასში ნაჩვენებია, რომ აუცილებელია ისწავლონ ინგლისური ენა, რადგან მომავალში პროფესიულ საქმიანობასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოადგებათ. რეჟისორმა აღნიშნა, რომ ბავშვი თავისი ბუნებით მიმღებლურია, ამიტომ მისთვის უდიდესი პასუხისმგებლობაა, როგორ და რა სათქმელით გაჯერებულ სპექტაკლს შესთავაზებს პატარებს, მოზარდებს, რათა ისინი მომავალში გემოვნებიან მაყურებლად ჩამოყალიბდნენ. ნინო მაღლაკელიძის თქმით, ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის დასი პროფესიონალი მსახიობებისგან შედგება და მომავალშიც სიამოვნებით ითანამშრომლებს მასთან.

- სპექტაკლი ინტერაქტიულია და ბავშვებს შესაძლებლობა აქვთ, ვინისთან და მის მეგობრებთან ერთად ჯადოსნურ სამყაროში იმოგზაურონ. სამი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სპექტაკლი გვიყვება ერთ დიდ თავგადასავალს, რომელშიც ცუდი პერსონაჟი არ არსებობს. პატარა მაყურებელი პირველად შეხვდება ბათუმელ „ვინი პუჰს“, რომლის დიდი ბაბუა ლონდონიდან გახლავთ. ჩემთვის მთავარი ამ სპექტაკლში მეგობრების ისტორია და პატარებისთვის იმის თქმაა, რომ მათი წარმატებული მომავლისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი უცხო ენის სწავლაა. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც სპექტაკლს მივეცით სერიების სახე, არის საფეხურები, - როცა იწყებ ინგლისური ენის სწავლას, შემდეგ ავითარებ და ბოლოს სრულად ეუფლები მას, ანუ გარკვეულ ეტაპებს გადიხარ სრული შედეგის მიღებამდე. სპექტაკლი მრავალფეროვანია იმითაც, რომ მასში წარმოჩენილია ბათუმის ქუჩები, ბულვარი, ამ ქალაქში არსებული სხვადასხვა საინტერესო ადგილი. მინდა სიამოვნებით აღვნიშნო და მადლობა გადავუხადო ადამიანებს, რომლებიც დაგვეხმარნენ, რომ სპექტაკლი კიდევ უფრო მასშტაბური და საინტერესო გამოსულიყო, მუსიკოსებს - სოფო ხალვაშსა და ირაკლი კახიძეს, ასევე ჟურნალისტ ბერდია კუტუბიძეს. მათმა ჩართულობამ კიდევ უფრო საინტერესო გახადა სპექტაკლი, - გვითხრა რეჟისორმა **ნინო მაღლაკელიძემ**.

თოჯინური სპექტაკლი „ვინი პუჰი“ სიკეთით სავსე პერსონაჟებს: ფუტკრები, ირემი, თევზი, სირაქლემა, ძაღლი, პინგვინი, ვინის დიდი ბაბუა - ვინი აერთიანებს და როგორც რეჟისორმა აღნიშნა, მასში არ არის არცერთი ანტიგმირი. გაზეთ „აჭარასთან“ თავის პერსონაჟზე ისაუბრა მსახიობმა **თეიდო ტუღუშმა,** რომელიც სპექტაკლის მთავარ გმირს ვინი პუჰს განასახიერებს:

- ორ თვეზე მეტია, ვმუშაობთ სპექტაკლზე, მთელ ძალას და ენერგიას ვდებთ მასში. ვფიქრობ, ჩვენი თეატრის პატარა მაყურებელი ძალიან კარგად მიიღებს ბათუმელ „ვინი პუჰს“,

რომელიც მათ მეგობრობისკენ, სიყვარულისკენ და უფრო მეტი სწავლისკენ მოუწოდებს. აქვე მინდა აღვნიშნო რეჟისორთან მუშაობა, რომელიც ძალიან საინტერესოდ წარიმართა. მჯერა, ბათუმელი „ვინი პუჰი“ და მისი მეგობრების საინტერესო თავგადასავალი პატარების გულწრფელ მოწონებას და აპლოდისმენტებს დაიმსახურებს, რასაც დიდი ინტერესით ველოდები, - გვითხრა მსახიობმა.

ვესაუბრეთ ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელსაც. **ირაკლი კიკვაძის** თქმით, თეატრის მთელი შემადგენლობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ სპექტაკლზე მისულ მაყურებელს დახვდეს კომფორტული და უსაფრთხო გარემო, ასევე მათ შესთავაზონ საინტერესო, მრავალფეროვანი და შემეცნებითი სპექტაკლები, რომლებიც მომავალ თაობებს გემოვნებიან მაყურებლად, მსმენელად გაზრდის, პატარაობიდანვე გაუღვივებს თეატრისადმი და, ზოგადად, ხელოვნებისადმი სიყვარულს.

- საპრემიერო სპექტაკლი, რომელიც რამდენიმე დღეში გაიმართება, თავისი ფორმატიდან გამომდინარე, ძალიან საინტერესოა და შეიძლება ითქვას, ექსპერიმენტულიც, რადგან მსგავსი არათუ ბათუმში, საქართველოს მასშტაბითაც არასდროს დადგმულა. ვგულისხმობ კინოსერიალის პრინციპს. ის, რომ ნინო მაღლაკელიძე კარგ სპექტაკლს დადგამდა და მასზე სწორი არჩევანი გავაკეთეთ, ამაში დღითი დღე ვრწმუნდები. თითქმის ყველა რეპეტიციას ვესწრები და მიმაჩნია, რომ შთამბეჭდავი სანახაობა ელოდება სპექტაკლზე მოსულ მაყურებელს. სასიამოვნო ამბავიც წამოგვეწია გზად. ნინო მაღლაკელიძემ საერთაშორისო ფესტივალზე თოჯინური სპექტაკლით „მახინჯი იხვის ჭუკი“, ყაზახეთში გრანპრი აიღო, რასაც თქვენი გაზეთის საშუალებით კიდევ ერთხელ ვულოცავ და უფრო დიდ წარმატებებს ვუსურვებ მომავალში. სასიამოვნო ფაქტია ისიც, რომ სპექტაკლში ჩაერთნენ ბათუმელებისთვის, და არამარტო, საყვარელი და ცნობადი სახეები: სოფო ხალვაში, ირაკლი კახიძე და ბერდია კუტუბიძე. მათი ჩართვა სპექტაკლში შემდეგნაირად მოხდა. - რეჟისორს დასჭირდა ბრიტანული ინგლისურით მოსაუბრე, რომელსაც უნდა ჰქონოდა მსახიობური ნიჭიც. პირველი, ვინც გამახსენდა, ჟურნალისტი ბერდია კუტუბიძე იყო, მერე ვიფიქრეთ, რომ კარგი იქნებოდა, სიმღერაშიც დაგვხმარებოდნენ მუსიკოსები. სიამოვნებით დათანხმდნენ ჩვენს შეთავაზებას სოფო ხალვაში და ირაკლი კახიძე. აღსანიშნავია, რომ ირაკლი საზღვარგარეთიდან სპეციალურად ჩამოვიდა სპექტაკლისთვის სიმღერის ჩასაწერად. იგი პინგვინის არიას ასრულებს, სოფო - ფუტკრების სიმღერას, ხოლო ბერდია თევზს ახმოვანებს.

ძალიან საინტერესო კოლაბორაცია შედგა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი მათ. აქვე, მადლობა ჩვენს უნიჭიერეს მსახიობებს, რომლებიც დღე და ღამ მუშაობენ, რომ სპექტაკლი იყოს იმ პროექციასთან სინქრონში, რაც გადაღებული და დამონტაჟებულია. წამებში და წუთებში გათვლილი სპექტაკლია, რასაც ჩვენი პროფესიონალი მსახიობები არაჩვეულებრივად ართმევენ თავს. უკვე მოგახსენეთ, რომ ეს არის შემეცნებითი სპექტაკლი, რომელიც ინგლისური ენის პოპულარიზაციას უწყობს ხელს. თუ გვსურს ევროპაში ინტეგრაცია, ჩვენი ქვეყნის ხელოვნებისა და კულტურის ფართო ასპარეზზე წარმოჩენა, უნდა ვფლობდეთ ისეთ საერთაშორისო ენას, როგორიც ინგლისურია. სწორედ ეს იდეაა ჩადებული სპექტაკლში. ვფიქრობ, როდესაც სპექტაკლის პირველ ეპიზოდს ნახავენ ბავშვები, მოუნდებათ მეორის ნახვა, მის შემდეგ, როცა ვინი პუჰი ყიდულობს ლონდონის ბილეთს, აუცილებლად დაინტერესებთ მისი თავგადასავალი, რომელიც მესამე სერიაში გრძელდება. მოკლედ, წინ დიდი და საინტერესო თავგადასავალი ელოდებათ პატარებს. რაც შეეხება მიმდინარე სეზონს და ჩვენ მიერ დადგმულ სპექტაკლებს, მთლიანობაში 86-ე სეზონზე 8 სპექტაკლს ვითამაშებთ, იმის გათვალისწინებით, რომ „ვინი პუჰი“ სამ სპექტაკლად არის შესული რეპერტუარში. ერთ სეზონზე 8 სპექტაკლი საკმაოდ დიდი ციფრია, თუმცა რაოდენობით არ ვტრაბახობთ, მთავარია, ხარისხიანი შედეგი დავდოთ. მიმდინარე სეზონს „ვინი პუჰით“ დავასრულებთ, მერე ცოტას შევისვენებთ, ახალი სეზონიდან კი პირველი სპექტაკლი გვინდა ავთო დიასამიძემ დადგას. რაც შეეხება გეგმებს, მუშაობას ვიწყებთ სატელევიზიო გადაცემაზე „ტიკინების შოუ“. აქვე უნდა აღვნიშნო, სამინისტროსთან ერთად ვმუშაობთ იმაზე, რომ დარბაზში, სადაც სპექტაკლები იმართება, შეიცვალოს ძალიან არაკომ-



ფორტული სკამები. ბავშვები კარგად ვერ ხედავენ სცენაზე მიმდინარე მოვლენებს, გვინდა აღნიშნული საკითხი დროულად მოვაგვაროთ, რათა თითოეული მაყურებლისთვის ერთნაირად კომფორტული იყოს სპექტაკლის ყურება. თქვენს კითხვაზე რა ინტენსივობით მიმდინარეობს სპექტაკლების ჩვენება თეატრში, მინდა გითხრათ, სამუშაო კვირის განმავლობაში, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, სპექტაკლები იგეგმება სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებისთვის და ბაღების აღსაზრდელებისთვის, ხოლო შაბათ-კვირის განმავლობაში ჩვენი სალარო ღიაა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია, მისთვის სასურველ სპექტაკლს დაესწროს, - გვითხრა ირაკლი კიკვაძემ.

თეატრის ინფორმაციით, სამი ეპიზოდის ბილეთის ერთდროულად შეძენის შემთხვევაში მაყურებელი ფასდაკლებით ისარგებლებს. პრემიერების შემდეგ ბილეთების შეძენა მაყურებელს როგორც ონლაინ - biletebi.ge-ს საშუალებით, ისე თეატრის სალაროში შეეძლებათ.